ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge



„50-50 გრამი ვისკი გვქონდა დალეული, ნასვამები არ ვიყავით" რატომ ჩამოსვეს რუსთავის საკრებულოს თავმჯდომარე თვითმფრინავიდან გვ.5

15 მაისიდან

დეშილ ჰემეტი

მალტის შევარდენი

სერია ნამდვილი დეტექტივი

ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი




ხუთშაბათი, 17 მაისი, 2018 №115 (7660) ფასი: 50 თეთრი

# „გახარია გვეუბნება, რომ ახალი სტილის ლიდერია"



გვ.3

რამაზ საყვარელიძე: „ოპოზიცია პატეფონს დაემსგავსა, სადაც ერთი და იგივე მელოდია შეუცვლელად ტრიალებს"



## რატომ ითხოვს მარგველაშვილი პუტინთან შეხვედრას



გვ.2

რა კავშირი აქვს მის ინიციატივას ლევან ვასაძესთან და მეუფე შიოსთან

## ემზარ კვიციანი ლუსტრაციის კანონის მიღებას ითხოვს გვ.2

„ვილაცები ცდილობენ, სვანები სეპარატისტულ რელსებზე გადაგვიყვანონ"



## კახა კუკავა: „პოლიტიკაში ჯერ ბერას კლიპი შემოდის და მერე ბიძინა ივანიშვილის განცხადება"



გვ.3

### სამართალი გვ.7



ნინო გეგელაშვილი ხელმეორედ დაკითხვას ითხოვს



სასტუმრო ლეოგრანდის საქმეზე ბრალდებულები გიორგი მიქელაძე და ფათიჩ იაუზი პატიმრობაში დატოვეს



ბათუმის ყოფილი მერი გიორგი ერმაკოვი პროკურატურაში დაკითხეს

### ეკონომიკა გვ.6

კახა კალაძე: „ღამის ეკონომიკის პროექტი საკმაოდ მასშტაბურია და ბევრი მიმართულებისგან შედგება"






კურორტი „ახტალა" 3 მილიონ ლარზე მეტად იყიდება



წლის დასაწყისიდან შავ სიაში 165 კომპანია მოხვდა

ISSN 1987-9385

8 აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტმა ქერჩის ხიდის მშენებლობა დაგმო

4 ვახტანგ მაისაია: „მაპი უნდა მოვითხოვოთ, რომ საუკუნოვანი ოცნება, ნატოს წევრობა, ახდეს"

5 ახალი საფრთხე ახლო აღმოსავლეთში

8 ირანის პრეზიდენტი: „მსოფლიოში ირანოფობიის ნაცვლად ტრამპოფობია იწყება"

# ემზარ კვიციანი ლუსტრაციის კანონის მიღებას ითხოვს

შორენა მარსაგიშვილი

პატრიოტთა ალიანსის ერთ-ერთი ლიდერი, დეპუტატი ემზარ კვიციანი სისხლის სამართლის კოდექსში ცილისწამების შესახებ მუხლის აღდგენას და ლუსტრაციის კანონის მიღებას ითხოვს.

როგორც თავად განმარტავს, ამ კანონის მიღება აუცილებელია. პარლამენტის პლენარულ სხდომაზე კვიციანმა თავისი მაგალითი მოიყვანა. მისი თქმით, მედიასაშუალებებმა გაავრცელეს დეზინფორმაცია იმასთან დაკავშირებით, რომ მან რუსეთის აგენტობა აღიარა.

მან პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტსაც სთხოვა, შექმნან სამუშაო ჯგუფი, რომელიც ლუსტრაციის შესახებ კანონს მოამზადებს.

რატომ არის აუცილებელი ლუსტრაციის კანონის მიღება, ვის სურს სვანების სეპარატისტებად გამოცხადება, რატომ ეწინააღმდეგება ლგბტ თემის აქტიურობას, ვინ დევნის ავტორიტეტებს? – ამის შესახებ ემზარ კვიციანი „ახალ თაობას" ესაუბრება.

***– თქვენ პარლამენტის სხდომაზე განაცხადეთ, რომ წმინდანების შეურაცხყოფაზე საქართველოში ვიღაცებმა მიიღეს დირექტივები. ამბობთ, რომ იცით, საიდანაც მოდის ეს დირექტივა.***

– რა თქმა უნდა, ვიცი და ამას მთელი საქართველო ხედავს. იგივეს გავიმეორებ. რაც პარლამენტის სხდომაზე ვთქვი. უკვე იესო ქრისტეს დაუწყეს ქილიკი და წმინდანებს პრეზერვატივზე ახატავენ. ჩვენ კი ვალდებულებს გვხდიან, რომ პასუხი არ გავცეთ, მით უმეტეს, რომ ქვეყანაში უმრავლესობა მართლმადიდებლები ვართ. რატომ უნდა გვიბედავდნენ ამ ყველაფერს, მაგრამ ეტყობა, ესეც დირექტივებია.

***– საიდან მოდის ეს დირექტივები?***

– საიდან და საელჩოებიდან. შევხედოთ, ვინ აფინანსებს აღვირახსნილ არასამთავრობოებს და ყველაფერი ნათელი იქნება.



## „ვიღაცები ცდილობენ, სვანები სეპარატისტულ რელსებზე გადაგვიყვანონ"

***– არასამთავრობოების აღვირახსნილობაში რას გულისხმობთ?***

– ლგბტ-ების ზედმეტ აქტიურობას. სხვანაირად რომ გითხრათ, ეს ხალხი და ნარკომანები თავზე დაგვასხდნენ. რამდენიმე დღეს წინ პარლამენტთან იყვნენ ეგენი გამოფენილი და ხმამაღლა გაჰყვიროდნენ – ევროპაში მივდივართო. ამბობდნენ, საქართველოს მომავალი ჩვენა ვართო.

ამ მოვლენებს რომ ვუყურებდი, ევროინტეგრაციის კომიტეტში დეპუტატ თამარ ხულორდავას გაკეთებული განცხადება გამახსენდა. მან თქვა, მინდა ბევრი ევროპა საქართველოში. აუხდა ოცნება. ნახა რუსთაველზე, პარლამენტის წინ ბევრი ევროპა.

***– რატომ გგონიათ, რომ ისინი წარმოადგენდნენ ევროპას?***

– მე რა მგონია, თავად ამბობდნენ, ჩვენ ვართ ევროპაო. ძალიან კარგად ვიცნობ ევროპას და იქ ყველა ასეთი არ არის. ევროპის ადგილზე შემრცხვებოდა. ძალიან შემრცხვა იმ ბოდიშის გამო.

***– გახარიას ბოდიშს გულისხმობთ?***

– რა თქმა უნდა. მე ეს ბოდიში არ მომეწონა. ალბათ იცით მიუნხენის მეთოდი, როგორ გაჩერებენ და აკეთებენ თავიანთ საქმეს. გაიძახოდნენ, პროვოკაციაა მოსალოდნელი, სისხლი არ დაიღვაროს.

რა სისხლი უნდა დაღვრილიყო, როცა იარაღი არავის არ ჰქონდა. პირადად მე 13 მაისს რუსთაველზე არ ვყოფილვარ, მაგრამ როგორც ვიცი, ბიჭებს არანაირი იარაღი არ ჰქონიათ.

ეს ახალგაზრდები სპონტანურად წამოვიდნენ, მერე ცოტა მართვადი სახე მიეცა ამ ამბავს.

***– მართვად სახეში რას გულისხმობთ?***

– ამ ახალგაზრდებს პოლიცია აჩერებდა. არ მისცეს უფლება, მიკროფონთან მისულიყვნენ და თავისი სათქმელი ეთქვათ. სიტყვის თავისუფლებაზე რომ ლაპარაკობ ამდენს, რატომ არ აძლევს ადამიანს სიტყვის თქმის უფლებას.

თუ ნარკომანი და ლგბტ თემის წარმომადგენელი არა ხარ, განცხადების გაკეთების უფლება არა გაქვს.

***– ვინ აგიკრძალათ ეს?***

– ვინ და ამ ხელისუფლებამ. გაგახსენებთ, რა მოხდა მარტში რუსთავი 2-ის ოფისთან. ქრისტეს შეურაცხყოფის გამო აგინეს გიორგი გაბუნიას ქართული მარშის წევრებმა. ამის გამო 7 კაცი, 7 ახალგაზრდა გაუშვეს ციხეში. რამდენიმე დღის წინ ყველამ ვნახეთ, როგორ აგინებდნენ ხელისუფლების წარმომადგენლებს ნარკომაფიის და ლგბტ თემის წარმომადგენლები. გაბუნიას გინება არ შეიძლება და მთავრობის შეიძლება? მათ წინააღმდეგაც უნდა აღეძრათ საქმე. საქმის აღძვრის ნაცვლად, გახარია გამოვიდა და მოიბოდიშა.

გინებასაც ხომ გააჩნია, არსებობს ჩანაწერები და ათას საშინელებას ამბობენ. ხელისუფლების წარმომადგენლებს ემუქრებიან, ასე გიზამთ, ისე გიზამთო. მათი გინება გამოხატვის თავისუფლებაა და ქართული მარშის წევრების გინება კრიმინალი? ასე არ გამოვა, ასე ქვეყანას ვერ ავაშენებთ.

7 ახალგაზრდა მხოლოდ იმიტომ გაუშვეს ციხეში, რომ უფალს იცავდნენ. იმაშიც დარწმუნებული ვარ, რომ ხელისუფლებას მათი დაჭერა არ უნდოდა.

***– აბა რატომ დაიჭირეს?***

– იმიტომ, რომ დასავლეთიდან მოითხოვეს ასე. ხომ გითხარით, დირექტივაა, რომ ქრისტეს უნდა მიაყენონ შეურაცხყოფა. მისი დაცვა პატიმრობით ისჯება. ეს ხელისუფლება ძალიან ცუდად იქცევა. საპატრიარქოს დაკნინება არ ეყოთ და ახლა უფალს გადასწვდნენ.

***– საპატრიარქო ახსენეთ და ბოროტი ხმები ამბობენ, რომ ისინი 17 მაისს ხელისუფლებისთვის თავისი ძალის დამტკიცებას აპირებს და საყოველთაო მობილიზაცია აქვთ გამოცხადებული.***

– რას ნიშნავს საყოველთაო მობილიზაცია. საპატრიარქოს არავისთვის არ სჭირდება თავისი ძალის დამტკიცება. იმის, რასაც საპატრიარქო აპირებს, მტერს უნდა ეშინოდეს და არა მოყვარეს.

***– მტერს რატომ უნდა ეშინოდეს?***

– რა დღეა 17 მაისი? ოჯახის სიწმინდის დღე. საქართველოს სიძლიერის გარანტი ძლიერი ოჯახებია. ჩვენს მტრებს ჯანსაღი ოჯახის ეშინია. ნამდვილ ქართველებს ამის არ უნდა ეშინოდეთ. რამდენადაც ვიცი, 17 მაისს 400 წყვილი დაიწერს ჯვარს. ეს ძალიან დიდი ამბავია.

მთელი ჩემი საგვარეულო მყავს დაპატიჟებული, სხვებიც საგვარეულოებით მოდიან.

***– საგვარეულოები აპირებთ რუსთაველზე აქციის მოწყობას?***

– არანაირი აქცია არ არის. ეს იქნება მხარდაჭერა ოჯახური სიწმინდის.

***– ამ დღეებში ბევრი ხმაურიანი განცხადება მოვისმინეთ. ამბობენ, ლგბტ თემის წარმომადგენლებს რუსთაველზე არ გავატარებთო. დეპუტატი ხართ და როგორც დეპუტატს, ისე გეკითხებით, ვის აქვს უფლება, მეორე ადამიანს სექსუალური ორიენტაციის გამო ქუჩაში გავლა აუკრძალოს?***

– ამის უფლება არავის არა აქვს. ქუჩაში გავლას არც არავის ვუკრძალავთ. ჩვენ ვამბობთ, რომ გეიაღლუმს არ დავუშვებთ. იმიტომ არ დავუშვებთ, რომ ეს არის პროპაგანდა. ჩემი აზრით, არავინ არ უნდა მოახდინოს საკუთარი სექსუალური ორიენტაციის პროპაგანდა.

გაგრძელება მე-4 გვერდზე

# რატომ ითხოვს მარგველაშვილი პუტინთან შეხვედრას

## რა კავშირი აქვს მის ინიციატივას ლევან ვასაძესთან და მეუფე შიოსთან

შორენა მარსაგიშვილი

გიორგი მარგველაშვილი სიურპრიზებს არ გვაკლებს. ადრე თუ იმას გვეუბნებოდა რუსეთი ოკუპანტიაო, ახლა გვამცნო, რომ ოკუპანტთუხუცეს პუტინთან საუბარი სურს.

გამუდმებით „ოცნების" მაკრიტიკებელმა საქართველოს ხელისუფლებას რუსეთთან წარმოებული პოლიტიკა მოუწონა.

– რუსეთთან რა პოლიტიკაც ჩამოვაყალიბეთ ჩვენ ხელისუფლებაში მოსვლის დროს, ჩემი აზრით, არის სწორი. ჩვენ ვამბობთ, ჩვენ გთავაზობთ რაციონალურ დიალოგს, რას ნიშნავს რაციონალური დიალოგი. მოდით თქვენ თქვენი შეხედულებებით, პრობლემებით, ინტერესებით, თქვენი ხედვით, რა შეიძლება სარგებელი ვნახოთ ერთმანეთისგან და ჩვენ მერე აქ, დავსხდებით ერთად და ვისაუბროთ.

სულ ვამბობ ხოლმე, რომ მე ვნატრობ იმ დროს, როდესაც რუსეთის ლიდერს დაველაპარაკები არა მისი იმიჯიდან გამომდინარე, არამედ იმ ინტერესებიდან გამომდინარე, რომელიც აქვს რომელიმე რუსულ ოჯახს, მოსკოვში იქნება თუ სად იქნება. აქედან გამომდინარე თუ მე დამელაპარაკება რუსი ლიდერი, ჩვენ დავლაგდებით, – განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა.

მარგველაშვილის ნატვრას დიდი გამოხმაურება მოჰყვა. პოლიტიკოსების ერთი ნაწილი თვლის, რომ მარგველაშვილი საპრეზიდენტო არჩევნებში აპირებს მონაწილეობის მიღებას და ცდილობს, პრორუსულების გული მოიგოს.

საქმეში ჩახედული ხალხი იმასაც ამბობს, რომ ეს განცხადება რალაცნაირად უკავშირდება მის მეგობრებს. საუბარია ლევან ვასაძეზე და პატრიარქის მოსაყდრე, მეუფე შიოზე.

ვასაძე რომ რუსეთთან დაახლოებულია, ამას არავინ დავობს. მასთან მეგობრობის გამო მეუფე შიოც პრორუსულად ითვლება. საინტერესოა ის დეტალი, რომ მოსაყდრედ დადგენამდე რამდენიმე დღით ადრე ის მოსკოვში იმყოფებოდა.

პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე რუსეთთან დიალოგს მხარს უჭერს. ის ვლადიმერ პუტინსაც კი შეხვდა. ამის გამო ის ერის მოღალატედ გამოაცხადეს.

– პირველი რიგში, მიხარია, რომ პოლიტიკოსები როგორმე მიდიან იმ აზრამდე, რომ ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ, უპირველეს ყოვლისა, რუსეთთან დიალოგი არის საჭირო და აუცილებელი. როდესაც მე ამაზე ვსაუბრობდი, სამშობლოს მოღალატედ მაცხადებდნენ და ლამის დასახვრეტად მიმეტებდნენ. დღეს იგივეს ამბობს საქართველოს პრეზიდენტი, – აღნიშნავს ბურჯანაძე.

ის პრეზიდენტს იმ ფაქტს ახსენებს, როდესაც მისი პრეზიდენტად არჩევიდან ძალიან მალე, პუტინმა მასთან შეხვედრის და დიალოგის მზაობა გამოთქვა.

– გვახსოვს, როგორი სამარცხვინო პასუხი გასცა მარგველაშვილმა – ჯერ დავეკითხები ჩემს დასავლელ პარტნიორებსო და თუ უფლებას მომცემენ, მერე შევხვდები ვლადიმერ პუტინსო. ეს იყო სამარცხვინო საქციელი სუვერენული სახელმწიფოს პრეზიდენტის მხრიდან, – ამბობს პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარე.

ის დარწმუნებულია, რომ მარგველაშვილის ამ შეთავაზებას არ მიიღებს რუსეთის პრეზიდენტი, რადგან, როგორც ამბობს, მისთვის უკვე საინტერესო არ არის საქართველოს პრეზიდენტი, რომელსაც რამდენიმე თვე დარჩა ვადის ამოწურვამდე.

– ახლა ძალიან დაგვიანებული ხომ არ არის მარგველაშვილის მზადყოფნა?! როდესაც მისი ვადის ამოწურვამდე სულ რაღაც თვეებია დარჩენილი, რატომ უნდა შეხვდეს მას რუსეთის პრეზიდენტი?! გიორგი მარგველაშვილმა, მინიმუმ 4 წლით დააგვიანა და დღეს ის სასაცილო და არასერიოზულ ვითარებაში იყენებს თავსაც და ქვეყანასაც.

ამის გარდა, მარგველაშვილი ამბობს, რომ შეხვედრას და დიალოგს ტერიტორიების დეოკუპაციის შემდეგ აქვს აზრი. ესეც არარაციონალური და სულელური განაცხადია, რადგან დიალოგი სწორედ იმისთვის არის საჭირო, რომ ტერიტორიული მთლიანობა აღდგეს და რუსული ჯარები საქართველოს ტერიტორიიდან გავიდეს. ამას არავინ გააკეთებს, სანამ დიალოგი არ შედგება.

მე დარწმუნებული ვარ, რომ გიორგი მარგველაშვილის შეთავაზებას არანაირი რეალური შედეგი არ მოყვება, გიორგი მარგველაშვილს მინიმუმ 4 წლით დააგვიანდა. – აცხადებს ნინო ბურჯანაძე.

საგარეო საქმეთა ყოფილი მინისტრი გრიგოლ ვაშაძე მარგველაშვილის განცხადებით იმედგაცრუებულია.

მისი თქმით, უნდა შევიგნოთ რიგითმა მოქალაქეებმა, რომ ვიღაცის რეკომენდაციით „ჯიპას" რექტორის პრეზიდენტად არჩევა ამ შედეგით სრულდება.

ნამინისტრალის თქმით, თუ მარგველაშვილის განცხადება კულუარებში ამ საკითხზე უკვე დაწყებულ მუშაობასთან არ არის კავშირში და ეს განცხადება მის პირად ინიციატივას უკავშირდება, კრემლისთვის ბევრად მომგებიანი აღმოჩნდება.

ამბობს, ასეთ შემთხვევაში რუსეთის ხელისუფლება მარგველაშვილის განცხადებას გამოიყენებს იმის დასტურად, რომ საქართველოს ხელისუფლება კავკასიაში არსებულ ახალ რეალობას აღიარებს.



– რაში სჭირდება კრემლს დღევანდელი კონსტიტუციით დღევანდელი პრეზიდენტი, მით უმეტეს, მარგველაშვილი და, მით უმეტეს, ოქტომბერში წამსვლელი. ეს არაფრით არ დამთავრდება და სრულიად გაუგებარია, რითი მივა საქართველოს წარმომადგენელი, არ აქვს მნიშვნელობა, ვინ იქნება ამ შეხვედრაზე, ინტერესები არის სრულიად შეუთავსებელი. თუ ასეთი კულუარული მუშაობა არ მიმდინარეობდა, კიდევ უკეთესი კრემლისთვის.

იქნება განცხადება საგარეო საქმეთა სამინისტროსი ან კარასინის, რომელიც იტყვის, რომ ხომ ხედავთ, საქართველოში საღი აზრი იმარჯვებს და როგორც იქნა, ეს ქვეყანა თავისი წარმომადგენლების პირით ამბობს, რომ დრო არის აღიარონ ის ახალი რეალობა, რომელიც სამხრეთ კავკასიაში შეიქმნა. ასედაც კარგია კრემლისთვის, ისედაც კარგია კრემლისთვის, – აღნიშნა გიორგი ვაშაძემ.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოჟაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „გახარია გვეუბნება, რომ ახალი სტილის ლიდერია“

ნათია ხურცილავა



## რამაზ საყვარელიძე: „ოპოზიცია პატეფონს დაემსგავსა, სადაც ერთი და იგივე მელოდია შეუცვლელად ტრიალებს“



პოლიტოლოგი რამაზ საყვარელიძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

***– ბატონო რამაზ, შინაგან საქმეთა მინისტრი გახარია პარასკევს პარლამენტის წინაშე წარდგება და მომხდართან დაკავშირებით ისაუბრებს. რომან გოცირიძე აცხადებს, გახარიას ნუ ჰგონია, რომ პარლამენტში თეთრ ცხენზე ამხედრებული შემოვაო. ასეთი უნდა იყოს ოპოზიციის რიტორიკა?***

– არ უნდა იყოს და მოგახსენებთ, რატომაც: ოპოზიცია ძალიან ადვილად პროგნოზირებადი გახდა. ოპოზიცია ვერ ხვდება, რომ მისი სიტყვა ძალას კარგავს. ასეთია მათი შეფასება არა იმიტომ, რომ მოვლენა იმსახურებს ამას, არამედ ასეთია მათი სტილი. საკუთარი პოზიციის მოსახლეობისთვის, ამომრჩევლისთვის მიწოდების პრობლემა აქვს ოპოზიციას და ეს პრობლემა აქვს ხელისუფლებასაც.

თუკი გახარიამ რეალური პრობლემის მშვიდობიანად გადაჭრა მოახერხა, ოპოზიციამ უნდა თქვას, რომ ეს არის რეალობა და შემდეგ უკვე დასვას ის კითხვები, რაც, ბუნებრივია, არის. ის, რაც მისაღებია, უნდა მიიღო და რაც არა – უარყო.

წინააღმდეგ შემთხვევაში ოპოზიცია თავის ფუნქციას აზრს უკარგავს, ამის გაცნობიერებას ვერ ახდენს ოპოზიცია, რაც სერიოზული პრობლემაა, ამიტომაც ვართ ამ ჩაკეტილ წრეში. ოპოზიცია თავის ამომრჩეველთან უნდა იყოს პირველ რიგში მართალი.

ჩვენთან რასაც გინდა, იმას იტყვი, რა მნიშვნელობა აქვს, მართალია ეს თუ ტყუილი, მთავარია, თქვა. სანამ ასეთი მიდგომა გვექნება, გვეყოლება 60-ზე მეტი ნიჰილისტურად განწყობილი ამომრჩეველი, რომელსაც არც ხელისუფლების სჯერა და არც – ოპოზიციის, ასეთი რიტორიკის და დამოკიდებულების შედეგია ეს ყველაფერი. ოპოზიცია პატეფონს არ უნდა დაემსგავსოს, სადაც ერთი და იგივე მელოდია შეუცვლელად ტრიალებს.

***– გახარიას ამ გადაწყვეტილებას როგორ შეაფასებთ, რომ ის მზად არის დებატებში მიიღოს მონაწილეობა?***

– გახარია ცდილობს, რომ საზოგადოებას დაანახოს თავისი პოლიტიკური ძალა. ეს ძალა კი მდგომარეობს იმაში, რომ მას აქვს იმის უნარი და ძალაც, რომ თუ ბოდიში მოსახდელია, მოიხადოს კიდეც. ამ ყველაფრით გახარია გვეუბნება, რომ ის ახალ სტილს, უფრო სწორად, თავის სტილს ამკვიდრებს. ამით ის საზოგადოებას ეუბნება, რომ ის ევროპული ტიპის ლიდერია, რომელიც კანონზე მაღლა არ დგას. ამით იმის ხაზგასმასაც ახდენს, რომ ის სწორედ ამით განსხვავდება სხვებისგან. მიდის ის პარლამენტში, აგრესიულ გარემოში, სადაც ორი დღით ადრე აფრთხილებენ, რომ დიდი შეტევა ელოდება, რომ არა თუ ცხენზე ამხედრებული შევა, არამედ ბრძოლის ველს მოუწყობენ.

***– ამ ყველაფრის შემდეგ თითქოს მას პრემიერობამდე ერთი ნაბიჯიღა დარჩა. იზიარებთ ამ მოსაზრებას?***

– პრემიერი რომ გახდეს გახარია, ჯერ პრემიერის პოსტი უნდა გახდეს ვაკანტური. ვნახოთ. თუმცა, თუ პოლიტტექნოლოგის თვალით წავიკითხავთ მთელ ამ ამბავს, თავისი ყველა ნიუანსით, ვნახავთ, რომ ის საზოგადოებას, ამ ქვეყნის მოქალაქეებს ეუბნება, რომ ის იქნება ახალი ტიპის ლიდერი. ლიდერი, რომლის ძლიერი მხარე შეიძლება ბოდიშის მოხდაში, აგრესიულ გარემოზე უარის ართქმაში იყოს.

***– რას იტყვით იმ ვერსიაზე, რომ კალაძისა და პრემიერის გუნდი ამ ამბავიდან წაგებული გამოვიდა, მეტიც, რომ გახარიამ 100-0 მოუგო მათ?***

– ბევრნაირი ვერსია მოვისმინე ამ დღეების განმავლობაში, ბევრნაირი შეთქმულების თეორია გავიგე. რუსთაველის გამზირზე ურთულესი მოვლენები განვითარდა. ორი ახალგაზრდული ენერგია დაუპირისპირდა ერთმანეთს. როგორც იტყვიან, ბეწვის ხიდზე ეკიდა არა თუ სიმშვიდის შენარჩუნება და გამოხატვის თავისუფლება, არამედ სისხლი არ დაღვრილიყო და დაპირისპირებულ ადამიანებს ერთმანეთისთვის თავები არ გაეჩეხათ. რა თქმა უნდა, გახარიასთვის რთული სიტუაცია შეიქმნა, მას ბეწვის ხიდზე უნდა გაევლო, მაგრამ ეს ვითარება არც სხვებისთვის იყო მარტივი.

***– სისხლი რომ დაღვრილიყო, ეს პრემიერ კვირიკაშვილისთვისაც ცუდად დამთავრდებოდა?***

– ერთმნიშვნელოვნად, რა თქმა უნდა! არათუ პრემიერისთვის, საერთოდ ამ ხელისუფლებისთვის ძალიან ცუდად დამთავრდებოდა. ხელისუფლების პასუხისმგებლობის საკითხი დადგებოდა და ცამდე მართალიც იქნებოდა ოპოზიცია. ხელისუფლება ვერ აიცილებდა ვერც ერთ ბრალდებას. ეს ყველასთვის დიდი პრობლემა იქნებოდა.

ღმერთმა დაგვიფარა და ყველაფერი მშვიდობიანად დასრულდა, მაგრამ მერე უნდა გენახათ ოპოზიციის გამოსვლები და ტექსტები. არანაირი პროგნოზი არ შეიძლებოდა გაკეთებულიყო, დაიღვრებოდა იქ სისხლი თუ არა. ამიტომ, მე არ მჯერა ამ შეთქმულების თეორიის. თუმცა, ცხადია, ვიღაც პერსონალურად პოლიტიკურად გამარჯვებული, წარმატებული გამოვიდა, ვიღაც ნაკლებად და ა.შ. ეს პოლიტიკაა და პოლიტიკისთვის ასეთი წარმატება და წარუმატებლობა უც-

# კახა კუკავა: „პოლიტიკაში ჯერ ბერას კლიპი შემოდის და მერე ბიძინა ივანიშვილის განცხადება“

ნონა ცაბაძე





თავისუფალი საქართველოს ლიდერი კახა კუკავაც „ახალი თაობის“ კითხვებს პასუხობს.

***– ბატონო კახა, ბოლო კვირის პროცესებს ჩვენი საზოგადოება აქტიურად ადევნებს თვალს. დღეს ეკლესია ოჯახის დღეს აღნიშნავს, ვრცელდება ინფორმაცია, რომ დღეს რუსთაველზე სერიოზული პროვოკაციაა დაგეგმილიო. ის, რაც ვერ მოხერხდა 13-14 მაისს, სწორედ დღესაა დაგეგმილიო. რას იტყვით თქვენ?***

– არანაირი ასეთი მოლოდინები არა მაქვს, მე მივდივარ ჩემს ბავშვებთან ერთად ამ აქციაზე და მგონია, რომ ძალიან სწორი ფორმაა. მე ამ საკითხზე იმ მიტინგზეც ვისაუბრე და ძალიან გამიხარდა, რომ ეკლესიამ გააკეთა ეს განცხადება. ჩვენი ფორმა უნდა იყოს სწორედ მშვიდობიანი პროტესტი და არა დაპირისპირება იმ მეთოდებით, რომელსაც რამდენიმე რადიკალური ორგანიზაცია ახორციელებს. ხალხის რაოდენობაა გადამწყვეტი, მსვლელობა და არა გამოსვლები, მივარდნები და ვიღაცის მიჟეჟვა. პირიქით, ყველანაირი ძალადობით სწორედ ლიბერასტების საქმე გაკეთდება. აუცილებელია სწორედ იმ ტიპის აქცია, რაც დაიგეგმა.

***– და რა დაიგეგმა?***

– ამ აქციაზე უნდა გამოჩნდეს ქართველი ხალხის პოზიცია. იმიტომ, რომ ქართველი ხალხის პოზიციის დამახინჯება ხდება, როდესაც ხალხის მიერ არჩეული მთავრობა, ხალხის მიერ არჩეული საპარლამენტო ოპოზიცია, არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც ვითომ წარმოადგენენ საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფებს და ისინი საუბრობენ, რომ ქართველ ხალხს მოსწყინდა ტრადიციული ცხოვრება და ახლა გვინდა ჰომოსექსუალები და ნარკოტიკები.

***– და ამის საწინააღმდეგოს დასამტკიცებლად იკრიბებით?***

– ამიტომაც, სწორედ ეს მანიფესტაცია, დემონსტრაცია და მასში მონაწილეთა რაოდენობა, ჩემი აზრით, იქნება ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი დღევანდელი დღისა. ხოლო ეს ჭორები, რომ იგეგმება პროვოკაცია და ასე შემდეგ, ემსახურება იმას, რომ ნაკლები ხალხი გამოვიდეს.

***– თუმცა ვისმენთ შეფასებებს, რომ არჩევანის და გამოხატვის თავისუფლება ყველას თანაბრად აქვსო.***

– ისინი იბრძვიან არა არჩევანის თავისუფლებისთვის, არამედ მონოპოლიისთვის. ის განცხადებები, რომ ჩვენ ვართ პროგრესული თაობა და დედა უნდა მოვუხნათ ამ ბნელებს, ეს არის გამოხატვის თავისუფლება! ისინი ამბობენ, რომ ჩვენ, ნარკოდილერები ვართ ამ ქვეყნის ბატონპატრონები! ეს იყო მათი განაცხადი. თორემ, თავის ოჯახში, რითიც უნდათ, იმით დაკავდნენ.

***– რაც შეეხება ნარკოტიკებს... ამ საკითხზე რა პოზიცია გაქვთ?***

– ნარკოტიკი მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში არ ითვლება თავისუფლების ნაწილად. ნარკოტიკები არის მკვლელი. როცა ჩვენ ვსაუბრობთ ნარკოპოლიტიკის რეფორმაზე, აქ საუბარი უნდა იყოს არა იმაზე, რომ ნარკოტიკების, როგორც მკვლელის მიმართ დამოკიდებულება შევცვალოთ, აქ საუბარია, რომ ნარკომანის მიმართ შეიძლება შეიცვალოს დამოკიდებულება, რომელიც შეიძლება გახდეს უფრო მოქნილი და რიგ შემთხვევებში სანქციები ჩაანაცვლოს სამედიცინო ზედამხედველობამ. აი ამაზეა საუბარი და არა იმაზე, რომ მარიხუანა რა კარგია!

***– შედეგი აქაც სავალალოა?***

– მარიხუანაც ანადგურებს ადამიანს, ამაში ორი აზრი არ არის. ვიცნობ, სამწუხაროდ, ჩემი თაობის და ჩემზე უფროსი მარიხუანას მომხმარებლებს და ასიდან ას შემთხვევაში ეს არის ადამიანისთვის დამანგრეველი. უბრალოდ, აქ საუბარია იმაზე, რომ მარიხუანით გამოწვეული ზიანი უფრო ნაკლებია, ვიდრე ჰეროინით გამოწვეული, შესაბამისად, სახელმწიფოსაც უნდა ჰქონდეს შესაბამისი მიდგომა. მარიხუანის მომხმარებლების მიმართ უნდა იყოს ისეთივე მიდგომა, როგორიცაა ალკოჰოლიკების მიმართ და ჰეროინის მომხმარებლების მიმართ უფრო განსხვავებული და უფრო მკაცრი. აი ამაზე უნდა იყოს საუბარი და არა იმაზე, რასაც გვიმტკიცებენ, რომ რა კარგია მარიხუანა, თურმე ამას ჩამოყავს ტურისტები საქართველოში.

***– ესენი ცდილობენ, რომ ყველა ნარკოტიკი ერთ კატეგორიაში გაატარონ და კანონი ყველა საშუალების მიმართ რბილი იყოს?***

– რა თქმა უნდა, ისინი ითხოვენ, რეალურად ყველას ერთ კატეგორიაში გატარებას. შემოაქვთ ტერმინები კლუბური ნარკოტიკი, მძიმე ნარკოტიკი, მსუბუქი ნარკოტიკი და ივანიშვილის ოჯახმა რაც განაცხადა, ბერას კლიპის სახით, იქ არის საუბარი ლეგალიზაციასა და არა დეკრიმინალიზაციაზე და ეს ძალიან მნიშვნელოვანია.

დიდი სხვაობაა. დეკრიმინალიზაცია მომხმარებლების მიმართ, ეს აბსოლუტურად ნორმალური ამბავია. უშუალოდ მომხმარებელი, უშუალოდ ნარკოტიკის მოხმარებისთვის, თუ ის მეტს არაფერს არ აშავებს, არ ინახავს ამ ნარკოტიკს და არც ვაჭრობს, ის არ უნდა წავიდეს ციხეში. აი

**როცა ჩვენ ვსაუბრობთ ნარკოპოლიტიკის რეფორმაზე, აქ საუბარი უნდა იყოს არა იმაზე, რომ ნარკოტიკების, როგორც მკვლელის მიმართ დამოკიდებულება შევცვალოთ, აქ საუბარია, რომ ნარკომანის მიმართ შეიძლება შეიცვალოს დამოკიდებულება და რიგ შემთხვევებში სანქციები ჩაანაცვლოს სამედიცინო ზედამხედველობამ.**

ეს არის დეკრიმინალიზაცია! ხოლო ის, რაც ბერა ივანიშვილის კლიპში იყო, რომელიც ორი დღის წინ დატრიალდა, აქ საუბარი იყო ლეგალიზებაზე. ლეგალიზება ნიშნავს იმას, რომ ნარკოტიკები უნდა გაიყიდოს ლეგალურად. შავ ბაზარზე კი არა, ლეგალურად.

***– ანუ ივანიშვილის პოზიცია შეგვიძლია ამოვიკითხოთ ბერას კლიპში?***

– რა თქმა უნდა! პირველი დღიდან, რაც ივანიშვილი მოვიდა, ჩვენ გვახსოვს, ეს არის ამ ოჯახის სტილი, რომ ჯერ ბერა აკეთებს კლიპს და მერე ივანიშვილი აკეთებს განცხადებას. პოლიტიკაში ჯერ ბერას კლიპი შემოვიდა და მერე ივანიშვილის განცხადება.

# „ნატოს სამიტზე პრეზიდენტის მარტო ჩასვლას არავითარი მნიშვნელობა არ აქვს“

გულიკო ბალაძე

რუსთაველზე განვითარებული მოვლენების შემდეგ, ქვეყნის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირები პრეზიდენტთან უშიშროების საბჭოს სხდომაზე შეიკრიბნენ და ნატოს 2018 წლის ბრიუსელის სამიტისთვის მზადება და რუსეთიდან მომდინარე საფრთხეები განიხილეს. ექსპერტი სამხედრო-პოლიტიკურ და უსაფრთხოების საკითხებში ვახტანგ მაისაია „ახალ თაობასთან“ აცხადებს, რომ საქართველომ ნატოს ბრიუსელის სამიტზე მაპი უნდა მოითხოვოს. ამისთვის საჭიროა იმუშაოს ნატოს ქვეყნების ლიდერებთან.

***– ბატონო ვახტანგ, ბოლო დროის მოვლენების შემდეგ, ძალიან მალე ხელისუფლებამ უშიშროების საბჭოს სხდომაზე ნატოს ბრიუსელის 2018 წლის სამიტისთვის მზადების საკითხი განიხილა. რა მოსამზადებელი სამუშაოები უნდა ჩაატაროს ხელისუფლებამ ნატოს ბრიუსელის სამიტისთვის და როგორ უნდა წარდგეს საქართველო ამ მნიშვნელოვან ღონისძიებაზე?***

– ივნისში ბრიუსელში ჩატარდება მნიშვნელოვანი და ისტორიული ნატოს სამიტი, სადაც ბევრი საკითხი უნდა გადაწყდეს. მათ შორის, შავი ზღვის უსაფრთხოების განზომილების ელემენტების დანერგვა თვითონ შავ ზღვაში. ალბათ, მიღებული იქნება გადაწყვეტილება ანტისარაკეტო თავდაცვის სისტემების განვითარების კუთხით. ასევე, როგორ უნდა ებრძოლონ ისე საშიშ მტერს, როგორ არის დაიში, ალქაიდა და სხვა. მთავარი განმსაზღვრელი თემა რუსეთის შეკავების საკითხი იქნება.

მანამდე 21-27 მაისს ვარშავაში იმართება ნატოს ქვეყნების საპარლამენტო ასამბლეის სხდომა, რომელსაც მეც დავესწრები. ეს იქნება ნატოს სამიტის წინამოსამზადებელი ღონისძიება. უშიშროების საბჭოს სხდომის გარდა, საქართველოს მხრიდან სხვა მოსამზადებელ ღონისძიებას ვერ ვხედავ. ფაქტობრივად, ბრიუსელის სამიტისთვის მოსამზადებელი სამუშაოები არ დაწყებულა. საქართველოს მაღალი თანამდებობის პირები არ დადიან ნატოს დედაქალაქებში, არ აწვდიან იმ იდეებს, ამ სამიტისაგან საქართველოს რა უნდა. ან ადრევეა მოგვარებული საკითხები, რაშიც ეჭვი მეპარება, ან ქართული მხარე არც აპირებს ნატოს სამიტზე რაიმე საკითხის დასმას.

***– რადგან ეს საკითხი უშიშროების საბჭოს სხდომაზე განიხილეს, ალბათ, გარკვეული სამუშაო ჩატარებულია.***

– უშიშროების საბჭოს სხდომაზე გადაწყვეტილების მიღებას, არავითარი მნიშვნელობა არ აქვს. არავითარი წონა ამ ორგანოს არ გააჩნია.

***– შეიძლება პრეზიდენტიც მიემგზავრება. დელეგაცია რა შემადგენლობით წავა, ჯერ ცნობილი არ არის, მაგრამ ალბათ, პრეზიდენტთან ამ საკითხების განხილვა და შეთანხმება საჭირო გახდა. მარგველაშვილი უკვე წარმავალია, დიდხანს აღარ იქნება, მაგრამ მთავარსარდალია და თუ ის წავა სამიტზე, მთავრობის გეგმა და ერთიანი პოზიცია რომ გაახმაუროს, ალბათ, შეთანხმება გახდა საჭირო.***

– თქვენ თვითონ თქვით, რომ მარგველაშვილი წარმავალი ფიგურაა. ნატოს სამიტზე პრეზიდენტის წასვლას არავითარი მნიშვნელობა არ აქვს, თუ იქ წონიანი ფიგურა არ ჩავა, პრემიერი, ან თავდაცვის მინისტრი. როგორც ჩანს, საქართველოს არ უნდა ნატოს სამიტზე რაიმე საკითხი დააყენოს. რეალურ პოლიტიკის ჭრილში რომ ვილაპარაკოთ, ნატოს სამიტზე პრეზიდენტის მარტო ჩასვლას არავითარი მნიშვნელობა არ აქვს. იმედია, ნატოს სამიტზე პრემიერ-მინისტრიც ჩავა, რადგან ყველა ვარიანტში გაიმართება ნატო-საქართველოს სხდომა, 29 პრეზიდენტის ფორმატში.

ამ ფორმატში შედგება ასევე ნატო-უკრაინის სხდომა, ნატო-უკრაინის სახელმწიფო კომისიის ფორმატში. იქ სახელმწიფო კომისიის დონეზე მუშაობენ, რადგან უნგრეთმა შეიძლება დაადოს ვეტო, როგორც ეს მოხდა გარკვეული პერიოდის წინ, ბრიუსელში მინისტერიალის ფორმატში შეხვედრის წინ. საგარეო საქმეთა მინისტრები შეიკრიბნენ. იქ უნდა გამართულიყო უკრაინის კომისიის სხდომა, მაგრამ უნგრეთმა ვეტო დაადო და არ გაიმართა. როგორც ჩანს, სამიტზეც ანალოგიურად მოიქცევა, ვეტოს დაადებს.



## ვახტანგ მაისაია: „მაპი უნდა მოვითხოვოთ, რომ საუკუნოვანი ოცნება, ნატოს წევრობა, ახდეს“

***– საქართველო-ნატოს სხდომა ალბათ არ ჩაიშლება?***

– ნატო-საქართველოს კომისიის სხდომა გაიმართება. ამ სხდომისთვის საქართველო მომზადებული უნდა იყოს და დააყენოს საკითხები ნატო საქართველოს ურთიერთობების განვითარების შესახებ. ან მაპის მოცემის საკითხი უნდა დაისვას და მაპი უნდა მივიღოთ, ან კიდევ უფრო უნდა გავაძლიეროთ ჩვენი თავდაცვისა და უსაფრთხოების პირობები მოახლოებული საფრთხეებიდან გამომდინარე. ყველაზე მთავარი და მნიშვნელოვანი ეს საკითხია.

***– ანუ საქართველოს ნატოს სამიტზე შეიძლება ჰქონდეს გარკვეული მოთხოვნები? საქართველომ რა შეიძლება მოითხოვოს?***

– ჩვენ უნდა მოვითხოვით ნატოს წევრობის კანდიდატის სტატუსის მიღება მაპის სახით, რომ შემდეგ დავაყენოთ საკითხი, რომ ჩვენი საუკუნოვანი ოცნება – ნატოს წევრობა – ახდეს. ეს არის მთავარი საკითხი გეოსტრატეგიული მნიშვნელობის თემა. შეიძლება ნატოს სამხედრო წვრთნებსა და ოპერაციებში კიდევ უფრო მეტად ჩართვა. ასევე შეიძლება განვახორციელოთ დამატებითი სამხედრო საწვრთნელი სისტემის შექმნა საქართველოში, რომელიც საქართველოს შეიარაღებული ძალების ბრძოლისუნარიანობას კიდევ უფრო გაზრდის.

***– თქვენ შავი ზღვის ქვეყნების უსაფრთხოების სისტემის შექმნაზე გაამახვილეთ ყურადღება.***

– დიახ, ეს შეიძლება გაკეთდეს შავი ზღვის ახალი უსაფრთხოების ინიციატივის ფორმატში. ნატო აპირებს შექმნას შავი ზღვის სამხედრო-საზღვაო დაჯგუფება, რომელშიც იგულისხმება სახმელეთო შენაერთების განთავსებაც, ანუ შავი ზღვის ნატოს წევრი სახელმწიფოების ტერიტორიაზე და საქართველოშიც შეიძლება მოხდეს ანალოგიური ტიპის ელემენტების განთავსება, ამისთვის ჩვენი სამხედრო პოლკების გამოყენება. შენაერთები შეიძლება არ განთავსდეს, მაგრამ ჩვენი სანაპირო გამოიყენონ უსაფრთხოების ფორმატში.

***– ეს ხელს შეუწყობს საქართველოს თავდაცვისუნარიანობის გაძლიერებას, ანუ ზღვის მხრიდან საქართველოს შავი ზღვის სასაზღვრო აკვატორიის დაცვას?***

– რასაკვირველია. ჩვენი საზღვაო საზღვარი დაუცველია. ჩვენ საზღვაო აკვატორიის კომპონენტი აბსოლუტურად დაუცველი გვაქვს. ჩვენ არ გვყავს არც სამხედრო-საზღვაო დაჯგუფება, არც სამხედრო-საზღვაო ძალები, არც სამხედრო-საზღვაო ფლოტილია. ეს მინიმალური კომპონენტიც კი არ გაგვაჩნია. ჩვენი საზღვაო აკვატორია, რომელიც მხოლოდ 9 კილომეტრიან შიდა საზღვაო ზონას არ მოიცავს. კიდევ 12-დან 200 კილომეტრამდე ეკონომიკური ზონა, საერთოდ, დაუცველია. ჩვენი სანაპირო ზოლიც აბსოლუტურად დაუცველია. შავი ზღვის სანაპირო ზოლის თავდაცვითი საშუალებებიც არ გაგვაჩნია. ეს ფუნქცია უნდა შეესრულებინა სამხედრო-საზღვაო დაჯგუფებას, ან სამხედრო-საზღვაო ძალებს, რომელიც საქართველოს არ ჰყავს.

***– ე.ი. ამ კუთხით შეიძლება წინსვლა იყოს – ამაში შეიძლება ჩვენც ჩავერთოთ და ჩვენი საზღვაო აკვატორიაც დაცული იყოს.***

– წინსვლას ვერ ვხედავ. საქართველოს მთავრობის აქტიურობა ამ მიმართულებით არ ჩანს. ერთი, მხოლოდ გაურკვეველ ვითარებაში ჩატარდა უშიშროების საბჭოს სხდომა. თან ჩემთვის გაურკვეველია, უშიშროების სხდომის გამართვას რა აზრი აქვს. ამ ორგანოს მიღებული გადაწყვეტილებებიც გაურკვეველია. თავდაცვისუნარიანობის გაზრდისთვის დიპლომატიური მიმართულებით აქტიურობა რომ არ შეიმჩნევა, ფაქტია.

***– ნატოს ბიურსელის სამიტისთვის მზადების კონტექსტში, უშიშროების საბჭოს სხდომამ განიხილა რუსეთიდან მომდინარე საფრთხეები და მათი გავლენა ქვეყნის თავდაცვისუნარიანობასა, აშშ-ისა და სხვა პარტნიორების მხარდაჭერის გაზრდაზე, ანუ რუსეთიდან მომავალი საფრთხეები აღიარებულია, მაგრამ ნატოს კიდევ უნდა შევახსენოთ, რომ შესაბამისი მხარდაჭერა მივიღოთ?***

– ეს საკითხი ნატოს სამიტზე საქართველოს ინიცირების გარეშეც მწვავედ დადგება. ტრასატლანტიკური უსაფრთხოების მთავარი გამოწვევა რუსეთია. სამიტზე დაიგეგმება რუსეთის აგრესიულობის შეკავება, რომ ის არ გადაიზარდოს ნატოს ტრასატლანტიკურ სივრცის პასუხისმგებლობის ზონაში. ჩვენ უნდა შევთავაზოთ, რომ დაიცვას სტრატეგიული პარტნიორები ნატომ. ეს თემა ჩვენ უნდა წამოვჭრათ. ჩვენ მაგივრად ამ თემას არავინ წამოჭრის.

***– ამერიკა ყოველთვის უჭერდა მხარს საქართველოს ნატოში გაწევრიანებას, მაპის მიღებას.***

– საქართველოსთვის მაპის მიცემაზე ჩვენც უნდა დავაყენოთ საკითხი და ჩვენმა სტრატეგიულმა პარტნიორმაც.

***– ამერიკამ წინა სამიტებზე დააყენა საქართველოსთვის მინიჭების საკითხი, თუმცა, ეს საკითხი ჩავარდა. ახლა ამერიკას რამდენად სცალია საქართველოსთვის იმ ფონზე, როდესაც საერთაშორისო ხელშეკრულებიდან გადის, ირანთან დაძაბული ურთიერთობა აქვს.***

– დიახ, ნატოსა და ამერიკას შორისაც ახალი დაპირისპირების ტალღა არის. ეს დაპირისპირება დაიწყო პალესტინაში შექმნილი ურთულესი სიტუაციის გამო. ირანის საკითხზე საყოველთაოდ მიღებული საერთაშორისო ხელშეკრულებიდან გამოსვლა და პალესტინაში შექმნილი მდგომარეობა ხლეჩს ამერიკა-ევროკავშირის სტრატეგიულ პარტნიორობას.

***– მე მგონი, ორივე თემა ამერიკის მიერ არის პროვოცირებული.***

– აუცილებლად. ბრიუსელის სამიტზე ამ თემებსაც განიხილავენ. ამას ემატება ტრამპის მიერ დაწყებული სავაჭრო ომი ევროკავშირის მიმართულებით. ტრამპმა შემოიღო დამატებითი ტარიფები ევროპული მეტალის ამერიკაში იმპორტთან დაკავშირებით. ეს არის ამერიკა-ევროკავშირის სავაჭრო ომის მთავარი საფუძველი. ეს სამი თემაა, რომელიც გამოწვევის სახით არის შექმნილი. ეს სამი თემა ამერიკის მიერ დაწყებული ევროკავშირსა და ამერიკას შორის.

***– რამდენად სწორი პოლიტიკაა ეს ტრამპის მხრიდან, როდესაც მთელი აღმოსავლეთი დუღს და გადადუღს? ისლამური სახელმწიფო, ავღანეთი, ირანი, სირია და მთელი აღმოსავლეთი ჩართულია დაპირისპირებაში. დაპირისპირება ევროპასთან, ნატოსთან.***

– როგორც ჩანს, ტრამპს არჩეული აქვს ულტრანაციონალური პოლიტიკური კურსი. ის პირველ რიგში ამერიკის ეროვნულ ინტერესს აფიქსირებს, მერე კი სტრატეგიული პარტნიორებისა და მეგობრების. ტრამპმა ახლა კიდევ ნაფტას ხელშეკრულების გადახედვა დაიწყო. ეს არის ჩრდილოეთ ამერიკის თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულება, რომელიც კანადას, ამერიკასა და მექსიკას ერთ სავაჭრო სივრცეში აქცევდა. აქ უკვე საზღვრები გახსნილი იყო.

***– მე მგონი, საქართველოსა და უკრაინის პრობლემები უკვე მეასეხარისხოვანი პრობლემაა ამერიკისთვის.***

– ვნახოთ, როგორ გადაწყდება ევროპასა და ამერიკას შორის არსებული დაპირისპირება. თუმცა, აქ მთავარია, შენ როგორ მუშაობ ქვეყნების ლიდერებთან, შენს სამხედრო-სტრატეგიულ მოკავშირეებთან.

# ემზარ კვიციანი ლუსტრაციის კანონის მიღებას ითხოვს

დასაწყისი მე-2 გვერდზე

ამ პროპაგანდამ დააქცია ქვეყანა. ანტიდისკრიმინაციული კანონი საერთოდ საშინელებაა. მაგ კანონის მიღების შემდეგ გამოჩნდა ამდენი გეი და ლგბტ. ისინი აქამდეც იყვნენ, მაგრამ თავიანთ ორიენტაციას თავზე არ გვახვევდნენ.

***– 2013 წლის 17 მაისი ძალიან მძიმე დღე იყო საქართველოსთვის. წელსაც იგივე ხომ არ გველოდება?***

– რატომ იყო მძიმე? იმ პერიოდში მე საქართველოში არ ვიყავი და კარგად ვიცი ის გამოხმაურება, რაც ამას მოჰყვა.

***– გამოხმაურება საკმაოდ ცუდი იყო.***

– არ იყო ცუდი. ბერძენი და უკრაინელი მართლმადიდებლები აღფრთოვანებას ვერ მალავდნენ.

***– რითი იყვნენ აღფრთოვანებული?***

– იმით, რაც 2013 წლის 17 მაისს მოხდა. ერთმა უკრაინელმა დაწერა, ნეტავი, ჩვენც გვყავდეს ასეთი მფრინავი მართლმადიდებლებიო.

***– რას ნიშნავს მფრინავი მართლმადიდებელი?***

– იმ მოვლენების ამსახველ კადრებში ჩანს, როგორ მიაფრინდა ერთი ახალგაზრდა გეებით სავსე ავტობუსს. ეს მართლა საოცარი სანახაობა იყო.

ევროპა ძალიან კარგია, მაგრამ ნუ დაგვავიწყდება, რომ ჩვენ ვართ კავკასია. კავკასიელები კი სხვანაირები ვართ. აქ სხვა ღირებულებებია. არავინ არ ერჩის სექსუალურ უმცირესობებს, მაგრამ ნურც ისინი დაიწყებენ თავიანთი ორიენტაციის პროპაგანდას. ეს ხალხს აღიზიანებს.

ხალხის გაღიზიანება ვიღაცას ძალიან აწყობს. ამ პროცესების უკან სხვა ქვეყნების სპეცსამსახურები დგანან. მათი თარეში რომ აღიკვეთოს, სასწრაფოდ უნდა მივიღოთ კანონი ლუსტრაციის შესახებ.

ძალიან მალე შევიტან პარლამენტში საკანონმდებლო ინიციატივას და აბა ვნახოთ, ვინ იქნება ამის მომხრე.

***– ამბობენ, რომ თქვენ რუსეთის აგენტობა აღიარეთ და ამიტომაც უცნაურია, ამ კანონის მიღებას რომ ითხოვთ.***

– უცნაური კი არა, ლოგიკურია. ხომ მაბრალებენ აგენტობას და თავი წმინდანებად მოაქვთ. აბა გაბედონ და დაუჭირონ ამ კანონს მხარი. წინასწარ გეტყვით, ამ კანონს ჩააგდებენ.

***– რატომ ჩააგდებენ?***

– საკუთარი აგენტობა რომ დაფარონ. ძალიან მინდა ამ კანონის მიღება. მაშინ მთელი საქართველო დაინახავს, ვინ ვისი აგენტია. იმასაც გავიგებთ, ვის ემსახურებოდნენ ამათი მამები თუ ბაბუები.

***– ისე ლაპარაკობთ, აშკარად რაღაც საინტერესო იცით.***

– მე ბევრი რამე ვიცი, მაგრამ ეს ლუსტრაციის კანონმა უნდა თქვას. მე არ ვარ ის კაცი, ვიღაცას აგენტობა დავაბრალო. ჩემთან დაკავშირებით არ შერცხვათ, მაგრამ მე ამ ფეხის ხმას ვერ ავყვები.

კარგად იცით რომ ჩემმა დამ, ნორა კვიციანმა, ციხეში 6 წელი და 4 თვე გაატარა. ის სასამართლომ უდანაშაულოდ ცნო. და იცით, რამდენი გადაუხადეს კომპენსაცია? 50.000 ლარი.

ნორას ადგილზე ლგბტ თემის წარმომადგენელი რომ ყოფილიყო, კომპენსაცია 7-8 მილიონს დაარტყამდა. აშკარაა, რომ სვანების წინააღმდეგ მიდის ბრძოლა.

***– რა ბრძოლა მიდის სვანების წინააღმდეგ?***

– საშინელი. გაიხსენეთ აფრასიძეები, ცინდელიანი, ჩვენ – კვიციანები. შეგნებულად ცდილობენ სვანების გაბრაზებას.

***– მიზეზი?***

– უნდათ, რომ სეპარატისტულ რელსებზე გადაგვიყვანონ. თავის დროზე ეს კარგად გამოუვიდათ აფხაზებთან, მაგრამ სვანებთან არ გაუვათ.

# გიორგი გახარია პარლამენტში 18 მაისს მივა



ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე მამუკა მდინარაძის განცხადებით, შინაგან საქმეთა მინისტრი გიორგი გახარია პარლამენტში 18 მაისს მივა.

მდინარაძის თქმით, გიორგი გახარია დეპუტატების წინაშე პლენარულ სხდომაზე წარდგება.

– შინაგან საქმეთა მინისტრთან კონსულტაციებით გადაწყდა, რომ შს მინისტრს საქართველოს პარლამენტი მოუსმენს პარასკევს. ის პარლამენტის წინაშე წარდგება პლენარულ სხდომაზე და არა მხოლოდ რომელიმე ფრაქციის ან კომიტეტის ფორმატში. დაისმება ყველა კითხვა, რომელიც დეპუტატებს გააჩნიათ. ვინაიდან კონსულტაციების დროს ბატონმა მინისტრმა თქვა, რომ ყველა კითხვაზე ამომწურავი პასუხი აქვს, ეს კითხვები და პასუხები საზოგადოებისთვის საინტერესო იქნება, – განაცხადა მამუკა მდინარაძემ.

# ახალი საფრთხე ახლო აღმოსავლეთში

## ამერიკელი ანალიტიკოსები ტრამპს ახლო აღმოსავლეთის ახალი სტრატეგიის შემუშავებისკენ მოუწოდებენ

მარიამ მჭედლიშვილი

ამერიკელი უსაფრთხოების ექსპერტები მოუწოდებენ თეთრი სახლის მეთაურს, შეიმუშაოს ახალი სტრატეგია ახლო აღმოსავლეთში. წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი რეგიონში სუნიტი რადიკალი ისლამისტების გაბატონებას ვარაუდობენ.

რეგიონში ისედაც დაძაბულობაა – არასტაბილურობას იწვევს რეგიონში სირიაში მიმდინარე პროცესები, ირანთან აშშ-ის დაპირისპირების ახალი ტალღა, აშშ-ის საელჩოს იერუსალიმში გადატანის შედეგად გამოწვეული პროტესტი.

ექსპერტები მიიჩნევენ, რომ დონალდ ტრამპის განზრახვა სირიაში დისლოცირებული ამერიკული კონტინგენტის არაბული ძალებით ჩანაცვლების თაობაზე, გამოიწვევს ქაოსს და დააზიანებს ამერიკის ინტერესებს.

მათი თქმით, თუ არაბული კონტინგენტი ჩამოყალიბდა, მას შეადგენენ საუდის არაბეთის სამხედრო მოსამსახურეები სპარსეთის ყურის წარმომადგენლებთან ერთად. ისინი სუნიტი რადიკალები არიან. ეს ძალები რამდენიმე წლის წინ ცდილობდნენ ასადის ჩამოგდებას. ამჟამად, როცა ბაშარ ასადი და მისი მფარველი რუსეთი მეამბოხეებზე გამარჯვებულად თვლის თავს, გადაწყვეტილება არაბული კონტინგენტის შექმნის შესახებ სუნიტური დაჯგუფებების გადარჩენას ნიშნავს.

ასადი დამნაშავეა, მაგრამ საერო დიქტატორის შეცვლა სუნიტური ისლამისტური რეჟიმით არ შედის ამერიკის ინტერესებში.

ექსპერტები ურჩევენ ამერიკის ლიდერს, არ დაასხას წყალი ორპირობაში შემჩნეული საუდის არაბეთის წისქვილზე. ეს არაბული სახელმწიფო გარიგებულია მთელ რიგ ისლამისტურ ექსტრემისტულ დაჯგუფებებთან. ის აფინანსებს ვაჰაბიტურ მიმდინარეობებს, რომლებიც ღიად ებრძვიან დასავლეთს.

აშშ სირიის კრიზისის მოგვარების გზას ჟენევის მოლაპარაკებებში ხედავს. ამის პარალელურად, სირიის პრობლემის მოგვარებაზე მუშაობას ერთობლივად აგრძელებენ რუსეთი, ირანი და თურქეთი.

მიღწეული შეთანხმებით, ამ სამეულის მორიგი უმაღლესი დონის შეხვედრა სირიის საკითხზე სოჭში ივლისში გაიმართება.

ივნისში ანკარაში მოეწყობა სამუშაო ჯგუფის სხდომა დაკავებული, გატაცებული ადამიანების გათავისუფლების და სხვა საკითხებზე.

რუსეთმა, ირანმა და თურქეთმა კიდევ ერთხელ გამოხატეს თავისი მხარდაჭერა სირიის ტერიტორიული მთლიანობის მიმართ და გამოთქვეს ტერორისტებთან ბრძოლის გაგრძელების მზადყოფნა.

ბოლო მონაცემებით, სირია-ერაყში ჯერ ისევ რჩებიან „ისლამური სახელმწიფოს", „ფრონტი ან-ნუსრასა" და სხვა დაჯგუფებების ტერორისტები.



# „ბათუმში ძალიან ბევრი მშენებლობაა გაჩერებული, მის ნებართვაზე კი ბათუმის მერი ხელს არ აწერს"



– ბათუმში ძალიან ბევრი მშენებლობა გაჩერებულია, მის ნებართვაზე კი ლაშა კომახიძე ხელს არ აწერს, – ამის შესახებ ბათუმის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წევრმა ნოდარ დუმბაძემ პარტიის ოფისში გამართულ ბრიფინგზე განაცხადა.

როგორც მან ჟურნალისტებთან საუბრისას აღნიშნა, ბათუმის მერიაში შესული ასეულობით დოკუმენტი თაროზეა შემოდებული. ნოდარ დუმბაძე ბათუმის მერს ლაშა კომახიძეს მოუწოდებს, რომ სამშენებლო ნებართვებზე ხელი დროულად მოაწეროს და ქალაქში მშენებლობას ხელი შეუწყოს.

– ლაშა კომახიძის მერობის პერიოდში უწყებაში მშენებლობის ნებართვასთან დაკავშირებით ძალიან ბევრი განცხადებაა შესული. სამწუხარო ფაქტი ისა, რომ მოქალაქეთა 95%-ზე მეტს არც დადებითი და არც უარყოფითი პასუხი არ მიუღია. აღსანიშნავია, რომ ბათუმის მერიაში არქიტექტურის სამსახურს ბევრი განხილული საკითხი აქვს მშენებლობის ნებართვებთან დაკავშირებით, სამწუხაროდ, როგორც ჩანს, არქიტექტურის სამსახურს თავად ლაშა კომახიძე არ ენდობა და დოკუმენტებს ხელს არ აწერ. მიდგომა ძალიან ცუდია, რადგან ქალაქში მშენებლობა გაჩერებულია.

მოვუწოდებ ბათუმის მერს, დროულად განიხილოს დოკუმენტები და ხელი მოაწეროს. მშენებლობის ვადები არის დარღვეული და მშენებლები დაზარალდნენ. ელემენტარულად მოქალაქეს საცხოვრებელი სახლის მშენებლობა სურს და უწყება მერიისგან პასუხს თვეების განმავლობაში ელოდება. შესაძლებელია ლაშა კომახიძე 20-სართულიანი კორპუსიდან რამდენიმე ბინას ელოდება და ამ შემთხვევაში დოკუმენტს ხელს მოაწერს, – განაცხადა ნოდარ დუმბაძემ.

❖ ❖ ❖

ბათუმის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის უფროსი მირიან მეტრეველი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" განცხადებას ბათუმში შეჩერებულ მშენებლობებთან დაკავშირებით გამოეხმაურა. როგორც მან აღნიშნა, ბათუმის მერიაში სამშენებლო ნებართვებზე ასეულობით განცხადება არ შედის და ოპოზიციის ბრალდება უსაფუძვლოა.

მირიან მეტრეველის თქმით, ბათუმში სამშენებლო პროექტებს უწყება კანონის მიხედვით სამი თვის განმავლობაში განიხილავს.

– ბათუმის მერიაში სამშენებლო ნებართვებთან დაკავშირებით, კვირაში 70-ზე მეტ პასუხს გავცემთ. აქედან ზოგი დადებითი, ზოგიც კი უარყოფითი პასუხია. ქალაქის მერიაში ასეულობით დოკუმენტი არ შემოდის და, შესაბამისად, თაროზე არ იდება. სამშენებლო ნებართვაზე ბათუმის მერიაში დაახლოებით დღის განმავლობაში 15 საპროექტო დოკუმენტი შემოდის. დოკუმენტის განხილვის სტანდარტული ვადა სამი თვე არის, – აცხადებს მირიან მეტრეველი.

**ინტერპრესნიუსი**

# „50-50 გრამი ვისკი გვქონდა დალეული, ნასვამები არ ვიყავით" — რატომ ჩამოსვეს რუსთავის საკრებულოს თავმჯდომარე თვითმფრინავიდან

რუსთავის საკრებულოს თავმჯდომარეს, საკრებულოს წევრსა და მერიის წარმომადგენელს რამდენიმე დღის წინ სერიოზული ინციდენტი შეემთხვათ.

10 მაისს დილის 6 საათზე ლევან ონიანი, გიგა ჯღარკავა და პაატა პაპელიშვილი ოფიციალური ვიზიტით ვარშავაში უნდა გაფრენილიყვნენ, მაგრამ ისინი რეისიდან მოხსნეს.

როგორც „ინფო რუსთავს" „ლოტ პოლონეთის ავიახაზებში" განუცხადეს, მგზავრების ბორტიდან მოხსნა იმ შემთხვევაში ხდება, თუ ისინი საფრთხეს უქმნიან ფრენას და სხვა მგზავრების უსაფრთხოებას.

– კონკრეტულად ვინ იყვნენ, რა პიროვნებები იყვნენ, ჩემთვის დღემდე ცნობილი არ იყო. მათი ბორტიდან მოხსნის მიზეზი რა არის, ჩემთვის ესეც უცნობია, იმიტომ, რომ უშუალოდ მანდ არ ვიმყოფებოდი, ეს იყო ხომალდის მეთაურის და ეკიპაჟის გადაწყვეტილება. რაღაც გარკვეული ინციდენტი მოხდა ბორტზე, რის გამოც მათ უარი ეთქვათ მგზავრობაზე.

ზოგადად მგზავრების არდაშვება რეისზე ხდება იმ შემთხვევაში, თუ მგზავრები უქმნიან პრობლემას სხვა მგზავრებს ან ეკიპაჟის წევრებს და არსებობს იმის საშიშროება, რომ პრობლემა იყოს ფრენისას. ბევრი მიზეზია, ეს შეიძლება იყოს ნასვამი, არაადეკვატური, შეიძლება გამოხატავდეს აგრესიას, შეიძლება ბილწსიტყვაობდეს. ეს არის ეკიპაჟის გადაწყვეტილება, თუ ისინი თვლიან, რომ ნებისმიერი მგზავრი უქმნის საფრთხეს ფრენას და სხვა მგზავრებს, მაშინ მგზავრი იხსნება რეისიდან, – განაცხადა „ინფო რუსთავთან" საუბარში „ლოტ პოლონეთის ავიახაზების" მენეჯერმა გიორგი ლიპარტელიანმა.

როგორც რუსთავის საკრებულოს თავმჯდომარე, ლევან ონიანი, აცხადებს, რუსთავის დელეგაციის წევრებმა ბორტზე ასვლამდე რამდენიმე წუთით ადრე 50-50 გრამი ვისკი მიიღეს.

– ჩვენ ჩვეულებრივად გავიარეთ საბაჟო პუნქტი, შევედით თვითმფრინავში მე და გიორგი ჯღარკავა, უკვე ვემზადებოდით გასაფრენად, როდესაც შევამჩნიეთ, რომ ბატონი პაატა არ იმყოფებოდა ბორტზე, ამის მოსაკითხად მივედით, ის იდგა შესასვლელთან. რომ ვიკითხეთ რა ხდებოდა, გვითხრეს, რომ ვერ შეუშვებდნენ, არ მოეწონათ მისი ფერი. დადასტურდა, რომ მართლაც პაატა თავს გრძნობდა ძალიან ცუდად. ჩვენ ვიკითხეთ „არის ეს მიზეზი არ წავიდეს დელეგაცია?" გვითხრეს, რომ ბორტის უფროსს აქვს უფლება, ინდივიდუალურად მიიღოს გადაწყვეტილება, ამ ახსნა-განმარტების შემდეგ უკომენტაროდ დავტოვეთ ტერიტორია. ნამდვილად არ ვიყავით ნასვამ მდგომარეობაში, ძალიან კარგი




იქნებოდა, როდესაც ბატონმა გიორგი მოითხოვა ჩაეტარებინათ ალკოტესტი ბატონი პაატასთვის და ჩვენთვისაც. მათ ელემენტარულად არ აღმოაჩნდათ ალკოტესტი, – განაცხადა ონიანმა.

**ინფორუსთავი**

# წლის დასაწყისიდან შავ სიაში 165 კომპანია მოხვდა

2018 წლის დასაწყისიდან დღემდე შესყიდვების სააგენტოს შავ სიაში 165 კომპანია მოხვდა. მათ შორის 21 ინდ. მეწარმის სტატუსით სარგებლობს, 3 უცხოური საწარმოების ფილიალია საქართველოში, დანარჩენი კი შპს.

შავ სიაში მიმდინარე წელს მოხვდნენ ისეთი კომპანიები, როგორებიცაა შპს ალიგატორი", ნიუ როუდ გრუპი", სოფტმასტერი", ნ კაპიტალი", ნილი", ტრანსმშენი", ორბი ჯგუფი", ტაო და ასე შემდეგ.




შავ სიაში რეგისტრაციის საფუძველი სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულებაა.

რაც შეეხება თეთრ სიას: აქ წლის დასაწყისიდან დღემდე, სამჯერ ნაკლები – 56 კომპანია მოხვდა. მათ შორისაა შპს ინ-სი, სადაზღვევო კომპანია ალფა, ალტა", ენ სი სი, ელიტა ბურჯი და სხვა.

**კომერსანტი**

# რომან კაკულია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის 2017 წლის საქმიანობის ანგარიშს უარყოფითად აფასებს

დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის თავმჯდომარე რომან კაკულია მიიჩნევს, რომ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის 2017 წლის საქმიანობის ანგარიშში არ არის გათვალისწინებული კომიტეტის მიერ წინა მოსმენისას მიცემული რეკომენდაციები და შენიშვნები. მათ შორის ანგარიშში არ არის გამოკვეთილი ქვეყანაში არსებული პრობლემები და მათი გადაჭრის გზების ძიება.

**რომან კაკულია:**

– მაგალითისთვის შემიძლია მოვიყვანო თვითდასაქმებულების შეფასების არსებული ინდიკატორები. მე მგონია, რომ ეს დღეს ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემაა, ამდენად, მივესალმებოდი, რომ ეს ანგარიშში ყოფილიყო ასახული. ვიდრე ვიქნებით კონცენტრირებული მხოლოდ 12%-იან უმუშევრობაზე, რეალური დაგეგმვა პრობლემა იქნება. მახსოვს, როდის შეიცვალა ეს ინდიკატორები, რომელი ხელისუფლების დროს და რას ემსახურებოდა ეს ყველაფერი. აბსოლუტურად ყველა არგუმენტი გასაგებია, მაგრამ მაინც მგონია, უფრო მნიშვნელოვანია, რეალობა დავინახოთ ისეთი, როგორიც არის და გეგმებიც შესაბამისად დავსახოთ.

ძალიან დიდ მნიშვნელობას ვანიჭებ სტატისტიკის ეროვნულ სამსახურს და მის ანგარიშს, ამდენად, მგონია, კრიტიკას იმსახურებს ის ფაქტი, რომ 2017 წლის ანგარიშში ეს ნაწილი არ არსებობს. განსაკუთრებით მაშინ, როდესაც თითქმის ხელის გულზე დევს ჩვენი აცდენა ამ რეალობისგან. მაშინ, როდესაც უმუშევრობა, ბიზნესის განვითარება და ამ ყველაფრის ხელშეწყობა ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია. მთავრობამ რომ ნორმალურად დაგეგმოს საკითხი, ინფორმაცია უნდა იყოს სწორი. ამ ხარვეზის გამო 2017 წლის ანგარიშს დადებითად ვერ შევაფასებ.

დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტმა მომზადებულად არ მიიჩნია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის 2017 წლის საქმიანობის ანგარიში და კენჭისყრისას მხარი არ დაუჭირა მის ცნობად მიღების საკითხს.



კომიტეტს ანგარიში სტატისტიკის ეროვნული სამსახურის აღმასრულებელმა დირექტორმა გოგიტა თოდრაძემ წარუდგინა. მან ისაუბრა საქსტატის ორგანიზაციული სტრუქტურისა და საშტატო განრიგის შესახებ, წარმოადგინა საბიუჯეტო შემოსავლები და ხარჯები, დეტალურად განიხილა გასული წლის განმავლობაში საქსტატის მიერ გაწეული საქმიანობა.

**კომერსანტი**

# კახა კალაძე: „ღამის ეკონომიკის პროექტი საკმაოდ მასშტაბურია და ბევრი მიმართულებისგან შედგება“

– ბოლო დღეების განმავლობაში არასწორი ინტერპრეტაციები და სპეკულირებაა, რასაც ნამდვილად ვერ დავეთანხმები – გულწრფელად გეტყვით, რომ ღამის ეკონომიკის განვითარებასთან ნარკოტიკებს არანაირი შეხება არ აქვს და საერთოდ კავშირში არ არის, – ამის შესახებ თბილისის მერმა კახა კალაძემ კავკასიის უნივერსიტეტში სტუდენტებთან შეხვედრისას განაცხადა.



კალაძემ ღამის ეკონომიკის განვითარებაზე დასმული კითხვის საპასუხოდ აღნიშნა, რომ კლუბებში ჩატარებული სპეცოპერაციები ამ მიმართულების განვითარებაზე ცუდად არ აისახება და ამ საკითხზე არასწორი სპეკულირება მიმდინარეობს.

– ღამის ეკონომიკის პროექტი საკმაოდ მასშტაბურია და ბევრი მიმართულებისგან შედგება. როდესაც პირველად გავაჟღერე ეს ინფორმაცია, მხოლოდ კლუბებზე, ცეკვა-თამაშზე და გართობაზე ჰქონდათ ყურადღება, თუმცა, ეს ასე არ არის. გართობა და კლუბები ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია ღამის ეკონომიკის განვითარების. მერიის მხრიდან იქნება მხარდაჭერა და თანადგომა საზოგადოებრივი ტრანსპორტის თვალსაზრისით. როდესაც ახალგაზრდები ღამის კლუბში მიდიან, იქედან დაბრუნება არის შეუძლებელი, რადგან იმ საათებში საზოგადოებრივი ტრანსპორტი საერთოდ არ მოძრაობს. ამ მიმართულებით გვაქვს ხედვა, როგორ უნდა მოხდეს ხელშეწყობა. ახალს და განსხვავებულს არაფერს ვიგონებთ, როგორც განვითარებულ ქვეყნებშია ამ დარგებთან მიმართებაში, იგივეს ვაკეთებთ. ჩემთვის საუკეთესო მაგალითი ლონდონია, თუ როგორ არის განვითარებული ღამის ეკონომიკა. როგორ არის დედაქალაქის მერიის მხრიდან ხელშეწყობა. როდესაც მიმართულებებზე ვსაუბრობთ, აქ არის კულტურული ღონისძიებები, მუზეუმები, სპორტული ღონისძიებები.

როდესაც ვსაუბრობთ სამუშაო ადგილებზე, მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობაზე, ახალგაზრდების ჩართულობით, შესაძლოა სტარტაპები დავაფინანსოთ ღამის ეკონომიკის განვითარების თვალსაზრისით და თანხები მერიამ გამოყოს. ბიზნესის ჩართულობით შესაძლებელია ამ მიმართულების განვითარება და ა.შ.

ბოლო დღეების განმავლობაში არასწორი ინტერპრეტაციები და სპეკულირებაა, რასაც ნამდვილად ვერ დავეთანხმები. გულწრფელად გეტყვით, რომ ღამის ეკონომიკის განვითარებასთან ნარკოტიკებს არანაირი შეხება არ აქვს და საერთოდ კავშირში არ არის.

ჩვენ აუცილებლად უნდა შევცვალოთ დამოკიდებულება ნარკომომხმარებლების მიმართ. კი არ უნდა დავსაჯოთ და გავაუბედუროთ, პირიქით, ჩვენი პოლიტიკა მიმართული უნდა იყოს იქითკენ, რომ ახალგაზრდები დავიცვათ ნარკოტიკებისგან. ძალიან ხისტები უნდა ვიყოთ და ვებრძოლოთ ნარკორეალიზატორებს, – განაცხადა კალაძემ და დასძინა, რომ ღამის ეკონომიკის განვითარების პროექტის განხორციელებაში ის გადაუჭრელ პრობლემებს ვერ ხედავს.

– შეიძლება პატარა დაბრკოლებები იყოს, არის გამოწვევები, მაგრამ ამას გავუმკლავდებით, ღამის ეკონომიკა ჩვენი ქვეყნისთვის იქნება ერთ-ერთი წარმატებული პროექტი და არა მხოლოდ ჩვენი ქვეყანა და რეგიონი, მთელი მსოფლიო ილაპარაკებს ამაზე, – განაცხადა კალაძემ სტუდენტებთან შეხვედრისას.

მოგვიანებით კი ჟურნალისტებთან საუბრისას აღნიშნა, რომ სახელმწიფომ ომი ნარკორეალიზატორებს უნდა გამოუცხადოს, მომხმარებლები კი დაიცვას.

– ჩვენ, სახელმწიფომ ნარკომომხმარებლები კი არ უნდა დავსაჯოთ, უნდა დავიცვათ და დავეხმაროთ, – განაცხადა კალაძემ.

კითხვაზე, ახალგაზრდების ნაწილი ფიქრობს, რომ ჩატარებულმა სპეცოპერაციამ საკლუბო ცხოვრებაზე ცუდად იმოქმედა და ხომ არ შეაფერხებს ეს ღამის ეკონომიკის განვითარებას, კალაძე პასუხობს: „დღისითაც აკავებენ ნარკორეალიზატორებს და ეს მოქმედებს ეკონომიკის განვითარებაზე? გავაჩეროთ ყველაფერი? – განაცხადა კალაძემ.

**კომერსანტი**

# კოოპერატივებით დაზარალებული ოჯახებისთვის ბინების მშენებლობა ბაზარზე კონკურენციას შექმნის

კოოპერატივებით დაზარალებულ 3 ათასამდე ოჯახს მერია საცხოვრებელ ფართს გადასცემს. ეს განცხადება თბილისის მერმა კახა კალაძემ გააკეთა.



„კომერსანტი“ დაინტერესდა, რას შეცვლის დეველოპერულ და სამშენებლო ბაზარზე მერის ახალი ინიციატივა.

სამშენებლოების ზოგიერთი წარმომადგენელი კონკურენციაზე საუბრობს.

დეველოპერული კომპანია +ის დამფუძნებლის ბეჟან წაქაძის განცხადებით, ბაზარზე კონკურენცია თავისთავად იქნება, თუმცა ამ ეტაპზე მერიის მხრიდან გარკვეული დეტალების დაზუსტება უნდა მოხდეს.

– მერის მიერ გაკეთებული განცხადება თავისთავად ჰუმანურია, რადგან ის დაზარალებულებს ეხმარება. თუმცა ის დეველოპერები, ვინც სამშენებლო სამუშაოებში მონაწილეობას მიიღებენ, თავისთავად ეს ბაზარზე კონკურენციას შექმნის. ამ ეტაპზე ძალიან ბევრი დეტალია გასარკვევი, მაგალითად ის, თუ მერია როგორი ფორმით ჩაატარებს ტენდერს და მასში მონაწილეობას ვინ მიიღებს, – აღნიშნა წაქაძემ.

განსხვავებულ აზრზეა სამშენებლო კომპანია „ივერონის“ ერთ-ერთი დამფუძნებელი არჩილ ჯაყელი და მას მიაჩნია, რომ ტენდერებში მონაწილეობის მიღება მცირე კომპანიებმაც უნდა შეძლონ.

– ეს თემა აქტუალური და საინტერესოა, მერია როგორ დატვირთვას მისცემს, როგორი ფორმით მოხდება მშენებლობები და ის თბილისის იერსახეს რამდენად მოუხდება. ასევე კარგი იქნება თუ მცირე კომპანიებს მიეცემათ ტენდერებსა და მშენებლობაში მონაწილეობის უფლება, რათა ბაზარზე მათაც გაუჩნდეთ შანსი, – აღნიშნა ჯაყელმა.

მთავრობის სხდომის დაწყებამდე თბილისის მერმა კახა კალაძემ რამდენიმე მნიშვნელოვან საკითხზე გაამახვილა ყურადღება. ერთ-ერთი თემა, რასაც კახა კალაძე შეეხო, ეს კოოპერატივებით დაზარალებული 3 ათასამდე ოჯახია. მერის თქმით, 90-იანი წლებიდან მოყოლებული, ეს ადამიანები ბინის გარეშე არიან დარჩენილები, ახლა კი დროა მათი დაკმაყოფილება მოხდეს.

– ესენი არიან სახელმწიფოს მიერ დაზარალებული ოჯახები, რომელთაც თავის დროზე მთავრობას გადაუხადეს ფული ფართისთვის, თუმცა დღემდე საცხოვრებელი ბინის მოლოდინში არიან. ამიტომ, მივიღეთ გადაწყვეტილება, ეს პრობლემა ჩემი მერობის პერიოდში სრულად მოგვარდეს. აღსანიშნავია ისიც, რომ მიწის ნაკვეთები, რომელზეც სახლების მშენებლობა უნდა განხორციელებულიყო, ნაციონალური მოძრაობის დროს პრივატიზირებულ იქნა სხვა პირებზე, თუმცა დღევანდელი გადაწყვეტილებით პრობლემა მაინც მოგვარდება, – განმარტავს კალაძე.

მერის განცხადებით, სახლების მშენებლობისთვის პირველ ეტაპზე გამოიყოფა 16 ჰექტარი მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწა, რომელიც მინიმუმ 800 ოჯახს დააკმაყოფილებს. უახლოეს მომავალში კი დაგეგმილია დამატებით ისევ მუნიციპალიტეტის მიწების გამოყოფა. რაც შეეხება ოჯახების საცხოვრებელი ფართებით დაკმაყოფილების რიგითობას, კახა კალაძის განცხადებით, პრიორიტეტი სოციალურად დაუცველ ოჯახებს მიენიჭებათ.

**კომერსანტი**

# კურორტი „ახტალა“ 3 მილიონ ლარზე მეტად იყიდება

პროექტი „50 ქონება შენი სასტუმროსთვის“ ფარგლებში უნიკალური ბალნეოლოგიური კურორტი ახტალა იყიდება. აუქციონის პირობების თანახმად, საწყისი ფასი 3.755.000 ლარია.

აუქციონზე იყიდება „სს ,,კურორტი ახტალას“ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 1-ლარიანი ნომინალური ღირებულების 3.549.156 ცალი ჩვეულებრივი აქცია (სახელმწიფოს წილი კაპიტალში 99.54.808 %).

ამასთან, აუქციონის თანახმად, მისი აქტივები 2018 წლის 16 მაისის მდგომარეობით, 3.576.148 ლარი; ვალდებულებები – 5.406 ლარი; საკუთარი კაპიტალი – 3.570.742 ლარი იყო.

ამასთან, აუქციონის პირობების მიხედვით მყიდველმა ტერიტორიაზე 120-ნომრიანი სასტუმრო-კომპლექსი უნდა მოაწყოს, რისთვისაც არანაკლებ 12.000.000 ლარის ინვესტიციას განახორციელებს.

ცნობისთვის, ახტალა საქართველოში ტალახით სამკურნალო ერთადერთი კურორტია, სადაც მკურნალობენ ძვალ-სახსროვან, პერიფერიული ნერვული სისტემის, გინეკოლოგიურ, დერმატოლოგიურ, უროლოგიურ და სხვა დაავადებებს. კურორტს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებიდან სტუმრობენ, მათ შორის ყაზახეთიდან, აზერბაიჯანიდან, ავსტრიიდან და გერმანიიდან.

შეგახსენებთ, რომ პროექტი „50 ქონება შენი სასტუმროსთვის“ მიზანია ხელი შეუწყოს საქართველოში ტურიზმის განვითარებას და ინვესტორებს მისცეს შესაძლებლობა ტურისტულად აქტიურ ზონებში, უკვე არსებული ინფრასტრუქტურის გამოყენებით მოაწყონ თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი სასტუმრო-კომპლექსები.

**ბპნ**




# როგორ ავარჩიოთ და სად შევიძინოთ ხარისხიანი ფეხსაცმელი?

– მიეცით ქალს გემოვნებიანი ფეხსაცმელი და მთელ მსოფლიოს დაიპყრობს, – წერდა მერილინ მონრო. ცხადია, მოხდენილი და ხარისხიანი ფეხსაცმელი ყველას მოსწონს, თუმცა ასეთი ფეხსაცმლის შეძენა ჩვენში თანაბრად რთულია როგორც ქალისთვის, ასევე – მამაკაცისთვის.



ზოგჯერ პრესტიჟულ მაღაზიაში შეძენილი ფეხსაცმელიც კი ნაადრევად ცვდება და მომხმარებლის იმედს ვერ ამართლებს.

სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის მომხმარებელთა უფლებების დაცვის პროგრამის ასისტენტი თამარ გობეჯიშვილი სწორედ ამ საკითხზე გვესაუბრება:

**თამარ გობეჯიშვილი:**

– მე ვფიქრობ, რომ ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის მყიდველი ჩვენს ქვეყანაში ყველაზე დაუცველია: თუნდაც ტექნიკა რომ ავიღოთ, მისი შეძენისას მაღაზია საგარანტიო ხელშეკრულებას მაინც იძლევა და შეკეთების ვალდებულება აქვს. ფეხსაცმლის შეძენისას კი, არანაირი ხელშეკრულება არ არსებობს და მყიდველი მთლიანად გამყიდველზეა დამოკიდებული: თუ მაღაზია მოისურვებს და უხარისხო საქონელს გამოგვიცვლის, ხომ კარგი, თუ არადა, მყიდველი დაზარალებული რჩება. ეს ერთ-ერთი ყველაზე მტკივნეული თემაა, რომელიც ჩვენს მოსახლეობას ძალიან აწუხებს. ჩვენთვის ძალიან ბევრ მომხმარებელს მოუმართავს: ეს ადამიანები ჩივიან, რომ ცნობილი ბრენდის, ძვირადღირებული ფეხსაცმელი შეიძინეს და ისეთი ხარისხისა არ აღმოჩნდა, როგორსაც ელოდნენ. ყოფილა შემთხვევები, როცა ერთი კვირის ნაყიდი, ძვირადღირებული ფეხსაცმელი გადამსკდარა და გაფუჭებულა. ასეთ დროს ჩვენი მაღაზიები იშვიათად იჩენენ სოლიდარობას კლიენტისადმი და მხოლოდ შეკეთებაზე თანხმდებიან.

***– უხარისხო ნივთის უკან დაბრუნების უფლება როდის გვაქვს?***

– ჯერ მომხმარებელმა უნდა დაამტკიცოს, რომ არაფერ შუაშია, რომ ფეხსაცმელი უხარისხო იყო და ამის გამო დაზიანდა. თუ ამას ვერ შეძლებს, მაღაზია დაზიანებულ ნივთს არავითარ შემთხვევაში არ დაიბრუნებს უკან. როგორც წესი, ამის დამტკიცება ძალზე რთულია ჩვეულებრივი, რიგითი ადამიანისთვის. ამიტომ, მაღაზიას ნებისმიერ შემთხვევაში შეუძლია თქვას, რომ პროდუქცია მომხმარებელმა დააზიანა.

***– და თუ სასამართლოს მიმართავს?***

– ამ შემთხვევაშიც შეიძლება დაამტკიცოს საკუთარი უდანაშაულობა, მაგრამ მომხმარებელთა 99,9 პროცენტი არ მიდის სასამართლოში და მაღაზია რჩება მოგებული. რატომ არ მიმართავენ ჩვენი მომხმარებლები სასამართლოს? – ყველამ იცის, რომ ეს გარკვეულ ხარჯებთან არის დაკავშირებული და დროში გაწელილი პროცედურაა. მოქალაქეები დროის და ენერგიის ხარჯვას თავს არიდებენ, თორემ მოგების შემთხვევაში ყველა ხარჯის ანაზღაურება წაგებულ მხარეს ეკისრება: იქნება ეს ადვოკატის მომსახურება, თუ სხვა რამ... თუმცა, იმის გარანტიას ვერავინ მოგცემთ, რომ სასამართლო პროცესს მოიგებთ.

***– ყველაზე ხშირად რომელი მაღაზიების კლიენტები ჩივიან?***

– ჩვენს ორგანიზაციაში წლების განმავლობაში ძალიან ბევრი საჩივარი შემოსულა. ვინც მოგვმართავს, უხარისხო ნაწარმი ყველას ძვირადღირებულ და ბრენდულ მაღაზიაში აქვს შეძენილი. ადამიანი ნივთს ბაზრობაზე რომ ყიდულობს, კარგად იცის, რომ პროდუქცია იმ ხარისხისა არ იქნება, როგორიც ცნობილი ბრენდის ნაწარმია. როცა ადამიანი პრესტიჟულ მაღაზიაში მიდის და გაცილებით ძვირს იხდის, იმის იმედიც აქვს, რომ ხარისხიან ნაწარმს შეიძენს. ამიტომ, ძირითადად ძვირფასი მაღაზიების კლიენტები ჩივიან, რომლებიც ფიქრობენ, რომ საიმედო, მაღალი ხარისხის ფეხსაცმელს ყიდულობენ.

***– ქალბატონო თამარ, რატომ უნდა გაფუჭდეს ცნობილი ბრენდის ნაწარმი ერთ-ორ კვირაში, ან თუნდაც, 1-2 თვეში?***

– პროდუქცია შეიძლება დაზიანდეს და ასეთი შემთხვევებისაგან არცერთი ფირმა დაზღვეული არ არის. სწორედ ასეთ დროს ჩანს ევროპული მიდგომა: დასავლეთში მომხმარებლის ინტერესი უპირველესი და უმთავრესია. იქაური მაღაზიები თავიანთ სახელს და ავტორიტეტს ძალიან უფრთხილდებიან, ამიტომ, თუ მყიდველს ნივთი არ მოსწონს, თუ მისი გამოცვლა უნდა, თავისუფლად უცვლიან, ამის პრობლემა ევროპის ქვეყნებში არ არის. სამწუხაროდ, ჩვენმა მეწარმეებმა ვერ გაითავისეს, რომ მომხმარებლის ინტერესების დაცვა ზარალს არ ნიშნავს, პირიქით, ასეთი მიდგომა პროდუქციის რეალიზაციასაც ზრდის და მეწარმის შემოსავალსაც.

***– რას ურჩევდით ქართველ მომხმარებელს – როგორ შეიძინონ ხარისხიანი და ლამაზი ფეხსაცმელი?***

– შეუძლებელია რჩევის მიცემა იმ ქვეყანაში, სადაც მომხმარებელს კანონი არ იცავს. ვერავინ იტყვის, სად შეიძლება ვიყიდოთ ხარისხიანი პროდუქცია, რადგან პრესტიჟულ მაღაზიაში შეძენილი ნაწარმიც შეიძლება მალევე დაზიანდეს. შეცვლა გამორიცხულია, ერთადერთი, რასაც მაღაზიები კისრულობენ, შეკეთებაა. უკვე გითხარით, რომ ეს ვალდებულება კი არ არის, მაღაზიის კეთილი ნებაა. სწორედ ამიტომ, ქართველი მომხმარებელი მთლიანად მეწარმის კეთილ ნებაზეა დამოკიდებული.

**ბპნ**

# ზუგდიდის სასამართლომ ცოლის დაჭრისთვის მურმან ყოლბაიას 4 წელი შეუფარდა



ზუგდიდის რაიონულმა სასამართლომ ცოლის დაჭრაში ბრალდებულ მურმან ყოლბაიას 4 წლით თავისუფლების აღკვეთა შეუფარდა. აღნიშნული გადაწყვეტილება მოსამართლე ნატრული აკობიამ გუშინ გამოაცხადა.

დაცვის მხარემ მოსამართლეს სთხოვა, გაეთვალისწინებინა გარემოება, რომლის თანახმად ბრალდებული დანაშაულს აღიარებდა და ინანიებდა. ადვოკატმა ლიკა შელიამ სასამართლო პროცესზე განაცხადა, რომ ბრალდებულს ცოლი უკვე შეურიგდა.

– ის უკვე შეურიგდა მეუღლეს, რომელიც, ასევე, მსუბუქ სასჯელს ითხოვს. მათ ოთხი საერთო შვილი ჰყავთ. ჩემი დაცვის ქვეშ მყოფი არ ჩაიდენს დანაშაულს, – აღნიშნა პროცესზე ადვოკატმა გვანცა შელიამ.

ბრალდებულმა მურმან ყოლბაიამ ცოლი ბასრი იარაღით რამდენიმე თვის წინ დაჭრა. დაზარალებული ზუგდიდის რეფერალურ ჰოსპიტალში გულმკერდის არეში შემღწევი ჭრილობებით იყო მოთავსებული.

მომხდარზე გამოძიება შს სამინისტრომ სს კოდექსის მე-11 პრიმა, 118-ე მუხლით დაიწყო, რაც ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანებას გულისხმობს.

# ანი სუბელიანის მიერ მედიაში გავრცელებული ინფორმაციის საფუძველზე შსს-მ გამოძიება დაიწყო



აქციის „ჩვენი თავისუფლებისთვის“ ერთ-ერთი ორგანიზატორის, ანი სუბელიანის მიერ მედიაში გავრცელებული ინფორმაციის საფუძველზე შინაგან საქმეთა სამინისტრომ გამოძიება დაიწყო.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ შინაგან საქმეთა სამინისტროში განუცხადეს, გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 151-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც მუქარას გულისხმობს.

ანი სუბელიანის თქმით, მას 9 აპრილის მემორიალზე ცეკვის გამო ემუქრებიან. ამის შესახებ მან ტელეკომპანია „რუსთავი 2-ის“ ეთერში ისაუბრა. ანი სუბელიანი ამბობს, რომ შვილით ემუქრებიან.

– მთელი ამ დღეების განმავლობაში მემუქრებიან ბავშვით. მყავს 8 წლის შვილი და შვილზე აპელირებენ. ვარ ძალიან უშიშარი ადამიანი, მაგრამ, რაღაც მომენტში რეალური საფრთხის შეგრძნება გამიჩნდა. მაგრამ, ამის გამო, არ ვაპირებ, რომ შევწყვიტო გარეთ სიარული და უკან დავიხიო ბრძოლებში. ვფიქრობ, რომ ზუსტადაც, შინაგან საქმეთა სამინისტრო ვალდებულია, დაიცვას ჩემი უსაფრთხოება, – განაცხადა ანი სუბელიანმა.

# შსს: 17 მაისს შინაგან საქმეთა სამინისტრო აქციაში მონაწილე თითოეული ადამიანის გამოხატვის თავისუფლებას დაიცავს

17 მაისს ჰომოფობიასა და ტრანსფობიასთან ბრძოლის დღესთან დაკავშირებით შინაგან საქმეთა სამინისტროში უწყების ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტის დირექტორმა ლონდა თოლორაიამ სპეციალური პრესკონფერენცია გამართა.



როგორც თოლორაიამ აღნიშნა, შინაგან საქმეთა სამინისტრო მოწოდებულია დაიცვას ნებისმიერი მოქალაქის უფლება, განურჩევლად მისი რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, რელიგიისა და სხვა შეხედულებებისა. მისივე განცხადებით, აღნიშნულ დღეს გამართულ ღონისძიებასთან დაკავშირებით შინაგან საქმეთა სამინისტროსა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან გაიმართა შეხვედრები, სადაც შეთანხმდა ღონისძიებების გამართვის როგორც ადგილი, ასევე უსაფრთხოებისთვის გასატარებელი ზომები.

– ჰომოფობიასთან, ტრანსფობიასთან და ბიფობიასთან ბრძოლის საერთაშორისო დღეს, 17 მაისს გასამართ ღონისძიებებთან დაკავშირებით, შინაგან საქმეთა სამინისტროსა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს შორის გაიმართა შეხვედრები და შეთანხმდა როგორც შეხვედრის ადგილი და დრო, ასევე უსაფრთხოების თვალსაზრისით გასატარებელი ზომები.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო წარმოადგენს საზოგადოების უსაფრთხოების გარანტს, მოწოდებულია დაიცვას ნებისმიერი მოქალაქის უფლება, განურჩევლად მისი რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, რელიგიის, პოლიტიკისა და სხვა შეხედულებებისა, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილებისა, წარმოშობისა, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობისა, საცხოვრებელი ადგილისა და სხვა მახასიათებლებისა. შესაბამისად, 2018 წლის 17 მაისს შინაგან საქმეთა სამინისტრო დაიცავს აქციაში მონაწილე თითოეული ადამიანის თავისუფლებას, – აღნიშნა ლონდა თოლორაიამ.

# ნინო გეგელაშვილი ხელმეორედ დაკითხვას ითხოვს



ნარკოტიკების რეალიზაციის ბრალდებით დაკავებული წყვილი: 23 წლის გიორგი გოგებაშვილი და 27 წლის ნინო გეგელაშვილი განაჩენს საპყრობილეში დაელოდებიან.

ორივე მათგანს გასულ კვირას სასამართლომ წინასწარი პატიმრობა შეუფარდა.

საქმის მასალების მიხედვით, გიორგი გოგებაშვილი და მასთან არაოფიციალურ ქორწინებაში მყოფი ნინო გეგელაშვილი ინტერნეტით ყიდულობდნენ დაფასოებულ ნარკოტიკულ საშუალებებს და ყიდდნენ.

გეგელაშვილი სწორედ იმ დროს დააკავეს, როცა სამალავებში ნარკოტიკს ინახავდა.

შინაგან საქმეთა სამინისტროში აცხადებენ, რომ ნარკოტიკის შეძენის მსურველები ბრალდებულებს ერთ-ერთი ონლაინ აპლიკაციის გამოყენებით უკავშირდებოდნენ. ფულის გადახდის შემდეგ კი ნარკოტიკებს თბილისის სხვადასხვა საცხოვრებლის სახლების სადარბაზოებში მალავდნენ.

ნინო გეგელაშვილმა წარდგენილი ბრალი ნაწილობრივ დაკავებისთანავე აღიარა და თქვა, რომ მისი ავტომანქანის ჩხრეკის შედეგად ამოღებული ე.წ. ბიო მას ეკუთვნოდა, რომელიც შემდგომში გასაღების მიზნით გარკვეულ ადგილებში (სამალავებში) უნდა დაედო.

ბრალდებული ირწმუნება, რომ ის მარტო, გიორგი გოგებაშვილისგან დამოუკიდებლად მოქმედებდა.

როგორც „ნიუპოსტს“ ახალგაზრდა ქალის ადვოკატმა განუცხადა, ნინო გეგელაშვილმა გამომძიებლებს, სავარაუდოდ, მომწოდებელთა კონკრეტული გვარებიც დაუსახელა.

მარიამ ფხალაძე ამბობს, რომ გეგელაშვილი ხელმეორედ დაკითხვას ითხოვს.

– მან დაკითხვისთანავე ითანამშრომლა გამოძიებასთან, სარეალიზაციოდ უკვე დადებული ნარკოტიკული საშუალებები ამოაღებინა შსს წარმომადგენლებს, საკუთარი მობილური ტელეფონი გადასცა სამართალდამცავებს, სადაც მის საქმიანობასთან დაკავშირებით გარკვეული ინფორმაცია ინახება. მან თავიდანვე, კატეგორიულად გამორიცხა საქმეში გიორგი გოგებაშვილის თანამონაწილეობა. ნაწილობრივი აღიარება ამას ნიშნავს სწორედ, ნინომ განაცხადა, რომ დანაშაული ჯგუფურად არ ჩაუდენია. მას ახალი ფსიქოტროპული ნივთიერების გასაღებასთან ერთად, ედავებოდნენ ნარკოტიკული ნივთიერების გასაღებას და სწორედ ნარკოტიკების გასაღების ნაწილში გეგელაშვილმა თავი დამნაშავედ არ ცნო. დაუსახელა კონკრეტული გვარები და იგეგმება გარკვეული ინფორმაციების მიწოდება, რომლის დამუშავება უნდა მოხდეს, – აცხადებს დაკავებულის ადვოკატი.

მისივე თქმით, ბრალდების მხარე სპეციალურად აპელირებს გეგელაშვილისა და გოგებაშვილის ქორწინების საკითხზე, რათა ჯგუფურად ჩადენილი დანაშაული ამ კავშირით გაამართლონ.

– მათ იციან, რომ ცოლ-ქმარს შორის მეტია ინფორმაციის მიღება და არა როცა ორ მეგობარზეა საუბარი. ჩემი დაცვის ქვეშ მყოფებმა უბრალოდ გადაწყვიტეს, რომ ერთად ეცხოვრათ. გავრცელდა ინფორმაციაც, რომ თითქოს გიორგი ამუშავებს მას, მაგრამ ამოვიდეთ იმ გარემოებიდან, რომ ნინოს არც ერთხელ არ შეუცვლია ჩვენება, გამოძიების არც ერთ ეტაპზე. თავად გიორგიც ამბობს, რომ ნინოს საქმიანობის შესახებ არაფერი იცოდა, – აღნიშნა უფლებადამცველმა.

მარიამ ფხალაძე აცხადებს, რომ გიორგი გოგებაშვილისა და ნინო გეგელაშვილის დაკავებას კავშირი არ აქვს 12 მაისს, თბილისის კლუბებში ჩატარებულ სპეცოპერაციასთან, როდესაც ნარკორეალიზაციის ბრალდებით 8 პირი დააკავეს.

– აბსოლუტურად არანაირი შემხებლობა არ აქვს, ჩემი დაცვის ქვეშ მყოფების დაკავებას თბილისში 12 მაისს ჩატარებულ სპეცოპერაციასთან, – აღნიშნა ადვოკატმა.

მისი თქმით, ნინო გეგელაშვილის 5 წლის შვილი ბიოლოგიურმა მამამ რაიონში წაიყვანა.

**ნიუპოსტი**

# სასტუმრო „ლეოგრანდის“ საქმეზე ბრალდებულები გიორგი მიქელაძე და ფატიჰ იაუზი პატიმრობაში დატოვეს



სასტუმრო „ლეოგრანდის“ საქმეზე ბრალდებულები გიორგი მიქელაძე და ფათიჰ იაუზი ბათუმის საქალაქო სასამართლოს მოსამართლემ თამარ ბეჟანიშვილმა პატიმრობაში დატოვა. მან დაცვის მხარის შუამდგომლობა აღკვეთის ღონისძიების შეცვლის თაობაზე არ დააკმაყოფილა.

როგორც მოსამართლემ აღნიშნა, ბრალდებულების პატიმრობიდან გასათავისუფლებლად საფუძვლიანი არგუმენტი და ახალი გარემოება დაცვის მხარეს არ წარუდგენია. მოსამართლე თამარ ბეჟანიშვილმა მხარეთა მიერ წარდგენილი მტკიცებულებები დასაშვებად მიიღო და საქმის არსებითად განსახილველად გადასცა.

სასამართლოს გადაწყვეტილებას სხდომათა დარბაზში ხმაური მოჰყვა. ბრალდებულ გიორგი მიქელაძის ოჯახის წევრებმა ჟურნალისტებთან საუბრისას განაცხადეს, რომ გიორგი მიქელაძეს სასტუმრო „ლეოგრანდში“ სახანძრო უსაფრთხოების ნორმების დაცვა არ ევალებოდა და უსაფუძვლოდ დააკავეს.

– ჩემი შვილი უდანაშაულოა და სასამართლოს ობიექტურობის მჯერა. გიორგის შვილები ჰყავს გასაზრდელი და სახლში გამოუშვან. ვინც იყო რეალურად სახანძრო უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი, ის დაიჭირონ. გიორგი მიქელაძე სახანძრო უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი არ იყო, – განაცხადა ბრალდებულის დედამ, ნათელა მიქელაძემ.

როგორც გიორგი მიქელაძის ადვოკატი პაატა ბოლქვაძე ამბობს, მისი დაცვის ქვეშ მყოფი მხოლოდ ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე დააკავეს და სწორედ აღნიშნული ექსპერტების დაკითხვა მომდევნო სასამართლო პროცესებზე მოხდება.

– გიორგი მიქელაძეს სასტუმროში სახანძრო უსაფრთხოებაზე პასუხისმგებლობა არ ეკისრებოდა. ის იყო საწყობის უბრალო ხელმძღვანელი. ჩვენ ცალსახად შეგვიძლია ვთქვათ, რომ წარმოდგენილი მტკიცებულებები მხოლოდ ექსპერტიზის დასკვნაა, – განაცხადა პაატა ბოლქვაძემ.

კიდევ ერთი ბრალდებულის, ფათიჰ იაუზის, ადვოკატი კახაბერ წერეთელი ამბობს, რომ სასამართლო პროცესების დასრულებამდე ბრალდებულების პატიმრობაში დარჩენა მიზანშეწონილი არ არის, თუმცა, სასამართლომ დაცვის მხარის შუამდგომლობა პატიმრობის გირაოთი შეცვლის თაობაზე არ დააკმაყოფილა.

პროკურორ რამაზ შავაძის განმარტებით, აღნიშნულ სისხლის სამართლის საქმეში არსებობს მტკიცებულება, რაც ბრალდებულების დანაშაულზე მიუთითებს.

– სისხლის სამართლის საქმეში არსებობს მტკიცებულებები, რომლებიც იძლევა ვარაუდის საფუძველს, რომ ბრალდებულებმა ჩაიდინეს მათზე ბრალად შერაცხული დანაშაული. საქმე არსებითად განსახილველად არის გადაცემული, – აღნიშნა რამაზ შავაძემ.

დაკავებულებს გამოძიება სახანძრო უსაფრთხოების წესების დარღვევას ედავება, რამაც ორი ან მეტი ადამიანის სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია.

როგორც სასტუმროს იურისტი კახაბერ წერეთელი აცხადებს, სასტუმრო ახალი სახელწოდებით „ველმონდი“ სატესტო რეჟიმში მუშაობს.

სასტუმრო „ლეოგრანდში“ ხანძარი 2017 წლის 24 ნოემბერს გაჩნდა. ხანძრის შედეგად 11 ადამიანი დაიღუპა, 19 კი დაშავდა.

# ბათუმის ყოფილი მერი გიორგი ერმაკოვი პროკურატურაში დაკითხეს



აჭარის მთავრობის ყოფილი და მოქმედი მაღალჩინოსნები გუშინ, 16 მაისს, პროკურატურაში იმყოფებოდნენ. საგამოძიებო უწყებამ ბათუმის ყოფილი მერი გიორგი ერმაკოვი და განათლების მინისტრის მოადგილე ბაგრატ მანველიძე დაკითხა.

გამოძიება დიდი ოდენობით სახელმწიფო თანხების მითვისების მუხლით დაიწყო, რომელიც პროექტის „იაფი სახლის“ მშენებლობისთვის ბიუჯეტიდან დაიხარჯა.

გიორგი ერმაკოვი „კურიერთან“ სატელეფონო საუბარში ამბობს, რომ მის ხელთ არსებული ინფორმაცია პროკურატურას მიაწოდა.

საქმეზე არსებობს აუდიტის სამსახურის დასკვნაც, სადაც ნათქვამია, რომ აზერბაიჯანულ კომპანიასთან ხელშეკრულების გაფორმების დროს პასუხისმგებელმა პირებმა კომპანიის შესახებ ინფორმაცია სათანადოდ არ გადაამოწმეს, რის გამოც მუნიციპალიტეტს მილიონ ნახევარი ლარის ზარალი მიადგა.

– პროექტის საცხოვრებელი სახლის მშენებლობასთან დაკავშირებით გადარიცხულია ავანსად თანხები, თუმცა სამუშაოები არ არის შესრულებული. ასევე ავანსად გადარიცხული თანხები არ იქნა ბიუჯეტში დაბრუნებული და ბიუჯეტს მიადგა ზიანი მილიონ 400 ათასი ლარის ოდენობით, – განაცხადა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის აუდიტის დეპარტამენტის უფროსმა, კახაბერ გოგოტიშვილმა.

პროექტის „იაფი სახლის მშენებლობისთვის“ განცხადება გააკეთა ოპოზიციის წარმომადგენელმა.

– „იაფი სახლის“ მშენებლობაზე საუბარი დაიწყო 2013 წელს, იმის მერე ეს სახლი ჯერ კიდევ არ არის აშენებული. დღეის მდგომარეობითაც კი არ ვიცით, ეს სახლი ვისთან უნდა აშენდეს თუ აშენდება. აუდიტის სამსახურმა ახლა თქვა ის, რასაც ჩვენ წლების განმავლობაში ვამბობდით,– განაცხადა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ბათუმის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარემ, გიორგი კირთაძემ.

# ისრაელის პარლამენტი თურქეთის მიერ სომეხთა გენოციდის აღიარებას განიხილავს



ისრაელის პარლამენტში ოსმალეთის იმპერიაში სომეხი ერის გენოციდის აღიარების შესახებ ორი კანონპროექტი დარეგისტრირდა.

ერთი კანონპროექტი მმართველი პარტიის „ლიკუდის" წევრმა ამირ ოჰანამ წარადგინა.

— სამართლიანობის აღდგენა არასდროს არის გვიანი. დადგა დრო ვაღიაროთ, რომ სომეხი ერის წინააღმდეგ საშინელი დანაშაული იყო ჩადენილი, — განაცხადა ამირ ოჰანამ.

რაც შეეხება მეორე კანონპროექტს, მისი ავტორი ყველაზე დიდი ოპოზიციური პარტიის „სიონისტური ბანაკის" დეპუტატი იციკ შმულია.

— ჩვენ ვერ მოვითმენთ ნოტაციებსა და მორალის კითხვას თურქი ყასაბი-ანტისემიტისგან, რომელიც სირიის ჩრდილოეთში ყოველდღიურად ათასობით ქურთს ბომბავს და ვისი ქვეყანაც სომეხი ერის გენოციდზე და კაცობრიობის წინააღმდეგ სხვა დანაშაულებზეა პასუხისმგებელი, — აღნიშნა იციკ შმულიმ.

აღსანიშნავია, რომ კანონპროექტები პარლამენტში თურქეთ-ისრაელის დიპლომატიური კრიზისის ფონზე იქნება განხილული.

# ფხენიანმა სეულთან მოლაპარაკებებზე უარი განაცხადა




ჩრდილოეთ კორეის დიქტატორმა კიმ ჩენ ინმა ახალი ხუშტურა გამოაგდო. მან სამხრეთ კორეასთან მოლაპარაკებებზე უარი განაცხადა. მიზეზი აშშ-სამხრეთ კორეის ერთობლივი სამხედრო წვრთნებია.

— თუ მისტერ ტრამპს ჩვენთან მოლაპარაკება სურს, ერთობლივ სამხედრო წვრთნებს თავი უნდა დაანებოს, — თქვა კიმ ჩენ ინმა.

აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტმა განაცხადა, რომ ტრამპისა და კიმ ჩენ ინის შეხვედრისთვის სამზადისი გრძელდება.

# ირანის პრეზიდენტი: „მსოფლიოში ირანოფობიის ნაცვლად ტრამპოფობია იწყება"



ირანის პრეზიდენტი ჰასან რუჰანი მიიჩნევს, რომ მსოფლიოში „ირანოფობიის" ნაცვლად „ტრამპოფობია" იწყება.

ამის შესახებ ირანის პრეზიდენტმა მინისტრთა კაბინეტის სხდომაზე განაცხადა.

— დღეს ირანოფობიის ნაცვლად, რომელსაც მსოფლიოს მასშტაბით ცრუ პროპაგანდას ავრცელებდა, ტრამპოფობია მოდის. დღეს ყველა სცემს პატივს ირანს, ვინაიდან ირანში ხედავენ ქვეყანას, რომელიც მშვიდობის მიღწევაზე ორიენტირებულ პოლიტიკას ატარებს და საერთაშორისო შეთანხმებებს ასრულებს, — განაცხადა ჰასან რუჰანიმ.

ირანის პრეზიდენტმა ასევე აღნიშნა, რომ ტრამპი გათვლებში შეცდა.

— ტრამპი გეგმავდა, რომ ირანის შეთანხმებიდან გასვლის მეორე დღეს ირანი ასევე გამოაცხადებდა შეთანხმებიდან გასვლას. ტრამპმა პირველი სვლა გააკეთა, თუმცა მეორე სვლაზე გათვლებში შეცდა, — აღნიშნა მან.

# აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტმა ქერჩის ხიდის მშენებლობა დაგმო



დასრულდა ქერჩის ხიდის მშენებლობა, რომელმაც ოკუპირებული ყირიმი რუსეთთან შეაერთა. აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა ნოიერტმა ამასთან დაკავშირებით საგანგებო განცხადება გააკეთა.

— ხიდის მშენებლობა უკრაინის მთავრობის თანხმობის გარეშე მოხდა, რაც დაუშვებელია, — თქვა ნოიერტმა.

წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ხიდის მშენებლობის მიზანი ოკუპირებულ ყირიმში რუსეთის დამკვიდრებაა. ამას გარდა, ხიდი გემთა მიმოსვლასაც ხელს უშლის.

# რუსებს იმპერიის აღდგენა სურთ, მაგრამ ომის ეშინიათ



თანახმად ლევადა-ცენტრის მიერ ჩატარებული უკანასკნელი გამოკითხვებისა, რუსეთის მოქალაქეთა 75%-ს იმპერიის აღდგენა სურს. 72% დარწმუნებულია, რომ ომის გარეშე ეს შეუძლებელია. შეკითხვაზე, დარწმუნებული ხართ, რომ აშშ ამ ომში ჩაერევაო, დადებითი პასუხი 66%-მა გასცა.

შეკითხვაზე, ომის შესაძლო კერად რა მიგაჩნიათო, 60%-მა უკრაინა დაასახელა. შეკითხვაზე, მესამე მსოფლიო ომი საიდან შეიძლება დაიწყოსო, 74%-მა დაასახელა სირია.

გამოკითხულთა 55%-ს ახალი ომის ეშინია. შეკითხვაზე, ამ ბრძოლაში რუსეთი გაიმარჯვებს თუ არაო, დადებითი პასუხი მხოლოდ 35%-მა გასცა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

## კალეიდოსკოპი

# ბიბლიოთეკას წიგნი 47 წლის დაგვიანებით დაუბრუნეს




ამერიკის კალიფორნიის შტატის ქალაქ სან-ფრანცისკოს ბიბლიოთეკას დაუბრუნეს წიგნი, რომელიც 47 წლის წინ იქნა გატანილი.

„პარტია შავი პანტერების" ერთ-ერთი დამფუძნებლის ელდრიჯ კლივერის ავტობიოგრაფიული წიგნი სახელწოდებით „სული ყინულზე", მყიდველზე 1970 წელს გაიცა. ივარაუდებოდა, რომ წიგნი იმავე წლის 9 დეკემბრამდე დაბრუნდებოდა, მაგრამ ეს მხოლოდ 47 წლის ოთხი თვისა და 29 დღის შემდეგ მოხდა. ამ დროის განმავლობაში წიგნს მოძვრა ყდა, ხოლო პირველ გვერდზე ხვრელი გაჩნდა.

ბიბლიოთეკის განყოფილების მენეჯერმა ენ ვანუკიმ აღიარა, რომ ისურვებდა იმის გაგებას, თუ ვინ გაიტანა წიგნი და ამდენი ხანი რატომ არ აბრუნებდა. ბიბლიოთეკების წესდებით, ჯარიმის მაქსიმალური ოდენობა 10,1 დოლარით რომ არ იზღუდებოდეს, მაშინ მის წამღებს დაახლოებით 1731,7 დოლარის გადახდა მოუწევდა დროის გადაცილებისთვის.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

# სამხედრომ ბავშვი მატარებლის ბორბლებისგან იხსნა



ინდოელმა საჩინ პოლმა გადაარჩინა პატარა გოგონა, რომელიც მუმბაიში კინაღამ მატარებლის ქვეშ აღმოჩნდა. აღნიშნული შემთხვევა სათვალთვალო ვიდეოკამერამ დააფიქსირა.

ვიდეორგოლში ჩანს, რომ ინდოელი ქალი, რომელსაც ხელი აქვს ჩაკიდებული ხუთი წლის გოგონასთვის, მატარებლის ვაგონში შესვლას ცდილობს. თავად ქალი მატარებელში შეხტომას ასწრებს, ხოლო მისი ბავშვი ხელს უშვებს და ბაქანსა და მატარებელს შორის არსებულ სივრცეში ვარდება. მის გადარჩენას სკამიდან წამომხტარი სამხედრო ფორმიანი ინდოელი მამაკაცი ასწრებს.

გავრცელებული ინფორმაციით, გოგონა და მისი გადამრჩენელი სამხედრო ნაკაწრებითა და დაჟეჟილობებით გადარჩნენ და პირველადი დახმარება მათ რკინიგზის სადგურის სამედიცინო კაბინეტში აღმოუჩინეს.

გოგონას მამამ განმარტა, რომ მისი მეუღლე პირველად იმყოფებოდა მუმბაიში და არ იცოდა, თუ რამდენად სწრაფად კრეფს სისწრაფეს მატარებელი. ასევე მან დაამატა, რომ მთელი თავისი ცხოვრება მისი გოგონას გადამრჩენელის მადლიერი იქნება.

# მეგან მარკლის მამა შვილის სამეფო ქორწილს არ დაესწრება



ამერიკელი მსახიობისა და ფოტომოდელის მეგან მარკლის მამამ ტომასმა გადაწყვიტა, რომ საქორწინო ცერემონიაში მონაწილეობას არ მიიღებს, რომლის დროსაც მისი შვილი დიდი ბრიტანეთის პრინც ჰარისთან იქორწინებს.

მისი თქმით, მას არ სურს ქალიშვილსა და სამეფო ოჯახს რაიმე სახით ზიანი მიადგეთ ნახევარი წლის წინანდელი სკანდალის გამო, როდესაც პაპარაცებმა ის არცთუ კარგ მდგომარეობაში მყოფი ალკოჰოლური სასმელის ყიდვის დროს დააფიქსირეს. მოგვიანებით გავრცელდა ინფორმაცია, რომ ტომას მარკლი, სავარაუდოდ, წინასწარ შეუთანხმდა ცნობილ ფოტოგრაფ ჯეფ რეინერს რამდენიმე ფოტოსურათის გადაღებაზე. ერთ-ერთ მათგანზე ჩანს, რომ მამაკაცი ინტერნეტ-კაფეში ზის და ქალიშვილის ნიშნობის თაობაზე ინფორმაციას კითხულობს. მეორე ფოტოზე — თითქოსდა მკერავი მას კოსტიუმისთვის ზომებს უღებს. კიდევ ერთ ფოტოზე, ის ჰანტელებით ვარჯიშის დროსაა გადაღებული. თუმცა ჟურნალისტებმა სიყალბე გამოამჟღავნეს და ტომასს შვილის ქორწილის ხარჯზე მოგების მიღების მცდელობაში დასდეს ბრალი.

ასევე ტომას მარკლმა ერთ-ერთ გამოცემასთან საუბარში აღნიშნა, რომ ექვსი დღის წინ გულის შეტევა გადაიტანა, მაგრამ საავადმყოფოდან მაინც გამოეწერა, რათა შვილის ქორწილში წასულიყო. ნავარაუდევი იყო, რომ მეგანს საკურთხეველთან მამამისი მიიყვანდა.

შეგახსენებთ, რომ პრინც ჰარისა და მეგან მარკლის ქორწილი 19 მაისს უინძორის ციხესიმაგრის წმინდა გიორგის ეკლესიაში გაიმართება.


# განცხადებები

### სხვადასხვა

● შევიძენ ნახატ სურათებს, წიგნებს, ძველ ნივთებს. ტელ: 598-43-98-57.

### ჯანმრთელობა, მკურნალობა

● სტომატოლოგიური მომსახურება ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ერთი ყბის ფასი 150 ლარი. კეთდება რუსული, იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98.

● ალკოჰოლიზმისაგან ხარისხიანი გათავისუფლება, "პახმელიის",ზაპოის", აგრესიის და ყველანაირი გართულების მოხსნა. (შეგიძლიათ შეურიოთ საკვებში პაციენტისგან ფარულად) კუჭ-ნაწლავისა და სხვა ქრონიკული დაავადებების მკურნალობაა, მცენარეული, მაღალეფექტური, გარანტირებულად უსაფრთხო პრეპარატებით. მოგემსახურებათ კვალიფიციური ექიმი-ფიტოთერაპევტი. ტელ: 599 45 88 66, 597 98 95 99.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების თავიდან აცილება, ნერვული სისტემის და ღვიძლის პრობლემების ნორმალიზება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან. უკუჩვენების გარეშე. საუკეთესო შედეგით, ტელ: 599-25-44-14 ექიმი მზია, 218-48-99 (სამსახ.). მის: დავით აღმაშენებლის 154 „მწვანე ოფისი".

● პოტენციის დაქვეითებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციების ნორმალიზება, პროსტატის ჯირკვლისა და შარდვის პროცესების მოწესრიგება, ბაქტერიულ-სოკოვან ინფექციათა საწინააღმდეგო მოქმედება იმუნიტეტის გაძლიერებით, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან უჯრედულ დონეზე. უკუჩვენების გარეშე. საუკეთესო შედეგით. ტელ: 595-293-299; 218-46-08 (სამსახ.) ექიმი ინგა. მის: დავით აღმაშენებლის 154 „მწვანე ოფისი".

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-5 სმ-ის მომატებით ძვლის მკვებავი მინერალებისა და ვიტამინების ნაკრებით+ვარჯიშები. ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც, ასევე გახდომა 5-15 კგ თვეში რაციონის შეუცვლელად, მიღებული შედეგის შენარჩუნებით, სწრაფად და ეფექტურად. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 (სამსახ). ექიმი სალომე. მის: დავით აღმაშენებლის 154 „მწვანე ოფისი".

● ძვლის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება — კოქსართროზის, ოსტეოპოროზის, ართრიტის დროს. დაზიანებული ხრტილისა და სახსარში სითხის ბალანსის ნორმალიზება მცენარეული საშუალებებით, საუკეთესო შედეგით. ტკივილისა და შებოჭილობის სინდრომის შემცირება უკუჩვენების გარეშე. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 (სამსახ). ექიმი სალომე. მის: დავით აღმაშენებლის 154 „მწვანე ოფისი".

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 571-72-03-11; 247-58-83.

● სქესობრივი უძლურება (იმპოტენცია), პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის პრობლემების: ხშირი და უნებლიე, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, უშვილობა, ენურეზი (გენეტიკურიც), ქრონიკული ინფექციები (ვენერიული) — მკურნალობა და გაწმენდა ვირუსებისგან უახლესი მეთოდებით. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის პროფილაქტიკა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, წონის დაკლება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მომატება 2-6კგ-მდე. შედეგები 100%-იანი. ტელ: 577-29-37-41; 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული ჩვევა-დამოკიდებულებისგან სწრაფად განთავისუფლება. ნერვული სისტემის მოწესრიგება: შიშების, უძილობის, აგრესიის, დეპრესიის, აკვიატებების, ეჭვიანობის, ასევე: ღვიძლისა და კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პათოლოგიის მკურნალობა: ციროზი, ჰეპატოზი, გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიოზი, აშლილობა, კრონი. ორგანიზმის გაწმენდა ყველანაირი ტოქსინისგან. ტელ: 599-72-21-38; 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი და ეფექტური მეთოდი 3-6 სმ-ის მატებით. შედეგიანია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. მკურნალობა მცენარეული ძვლის მკვებავი მინერალებისა და ზვიგენის ხრტილის ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ხერხემლის პათოლოგიების გამოვლენისას სხვა განსაკუთრებული, ინდივიდუალური მეთოდებით. ასევე გახდომა თვეში 6-22კგ-მდე, მომატება 2-6კგ-მდე შიმშილის, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. პროგრამა-დანიშნულება ყველა პაციენტთან ინდივიდუალურია. ტელ: 599-72-21-48; 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● ძვალ-სახსართა პრობლემების: კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატოიდული ართროზის, პოდაგრის, ოსტეომიელიტის, ანკილოზივური სპონდილიტას, პოლიართრიტის, ყველა სახის ხერხემლის გამრუდების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილებისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილის სინდრომის მოხსნა, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა, მკურნალობა უშედეგოდ ნაოპერაციებ სახსრებზე. ტელ: 599-90-54-78; 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

# საქართველო ჩემპიონია, რუმინეთი, ესპანეთი და ბელგია მოკვეთეს



მსოფლიო რაგბის ორგანიზაციამ მკაცრი ვერდიქტი გამოაცხადა, არანაკლებ ხმაურიანი გადაწყვეტილებით დაუსვა წერტილი – რუმინეთი, ესპანეთი და ბელგია მსოფლიოს თასიდან დისკვალიფიცირებულები არიან.

სპეციალურმა სადისციპლინო კომიტეტმა მორაგბეთა ნატურალიზაციაში დარღვევები გამოავლინა. ვერც ერთმა ნაკრებმა მსოფლიო რაგბის მიერ წაყენებული ბრალდება ვერ უარყო. შესაბამისად, თითოეული შეხვედრის გამო, რომელშიც ნატურალიზებულმა მოთამაშემ მიიღო მონაწილეობა, ნაკრებებს ხუთი ქულა დააკლდათ.

აქედან გამომდინარე საქართველო 2017 წლის რაგბი ევროპას ჩემპიონია!

თუმცა, საქართველოს ჩემპიონობის გარდა, კიდევ ბევრი რამ იყო გასარკვევი და საერთოდ აირია მსოფლიო თასის მოვლენები.

რუსეთის ნაკრები რუმინელთა ნაცვლად პირდაპირ მსოფლიოს თასზე მოხვდა – ა ჯგუფში ირლანდიასთან, შოტლანდიასთან, იაპონიასთან და პლეიოფის მომავალ გამარჯვებულთან ერთად.

ესპანეთის ნაკრების ნაცვლად, ერთმანეთში გერმანია და პორტუგალია ითამაშებენ, მათ შორის გამარჯვებული კი სამოას დაუპირისპირდება.

ასევე დადგინდა, რომ ესპანეთისა და ბელგიის სკანდალური მატჩი აღარ გადათამაშდება.

ესპანელებს, რუმინელებსა და ბელგიელებს აპელაციის შეტანისთვის 14-დღიანი ვადა აქვთ. სანამ სააპელაციო ვადა არ გავა, მსოფლიო რაგბის ორგანიზაცია ყველანაირ კომენტარზე უარს ამბობს.

# დინამომ ფინალისკენ გაიწია



**დინამო-მგზავრები 84:75**

(20:16, 21:21, 23:18, 20:20)

თბილისის დინამომ თანაქალაქელ მგზავრებს მეორე მატჩიც მოუგო და ნახევარფინალურ სერიაში 2:0 დაწინაურდა. ირაკლი ხოშტარიას გაწვრთნილ დინამოელებს ფინალამდე 1 მოგება უკლიათ, თუმცა შანსი აქვს მგზავრებსაც, რომელმაც წინა მატჩზე უფრო მეტი შედეგიანობით იბრძოლა, შანსს ბოლო წუთებამდე ინარჩუნებდა, მაგრამ საბოლოოდ მოგებამდე ვერ მივიდა.

ბუბა ბერიშვილის გაწვრთნილმა მგზავრებმა პირველი მეოთხედი 16:20 წააგო, მეორეში კი 4-ქულიანი ჩამორჩენის შენარჩუნება მოახერხა და დიდ შესვენებაზე ანგარიში 41:37 გახლდათ. ყველაზე დაძაბული მესამე მეოთხედი გამოდგა, რომელშიც გუნდური თამაშის წყალობით მგზავრებმა ჩამორჩენა გააბათილეს და წინაც გავიდნენ – ტეილორ სტეფორდის სამქულიანის შემდეგ ბერიშვილის გუნდი 50:47 დაწინაურდა.

დინამოელთა მწვრთნელმა წუთშესვენება აიღო და მეტოქეს მწყობრი დაცვა დაუპირისპირა, რამაც შედეგი მალევე გამოიღო. დინამოელებმა ჩამორჩენა უმალ აღმოფხვრეს და თავად დაწინაურდნენ, რაც მეფარეების – ილია ლონდარიძისა და კაელ ტურპინის, ასევე უკანახაზელთა დამსახურება გახლდათ. ძალიან საჭირო სამქულიანები ჩააგდო ლევან გრძელიძემ და დინამომაც მესამე მეოთხედის 23:18 მოგებით, დასკვნითი ათწუთეულის წინ ხელჩასაჭიდი უპირატესობა მოიპოვა – 64:55.

შეხვედრის ბოლო პერიოდში მგზავრები ეცადნენ, მაგრამ ვერაფერი შეცვალეს. მატჩის დასრულებამდე 2 წუთით ადრე დინამოელთა უპირატესობამ 10 ქულას გადააჭარბა და მატჩის ბედიც გაირკვა.

გასული სეზონის ჩემპიონმა საბოლოოდ 84:75 იმარჯვა, რაშიც ლომის წილი დაიდო ილია ლონდარიძემ, რომელმაც 25 ქულა მოაგროვა. 12 ქულა და 11 მოხსნა მიითვალა კაელ ტურპინმა, ხოლო ლევან გრძელიძემ და ლაველ ბოიდმა 11-11 ქულა მიითვალეს. მგზავრებში 13-13 ქულით გამოირჩნენ კახა ჯინჭარაძე და ადრიან ბოუი, ხოლო ავთანდილ ლომინაშვილმა შეხვედრა 12 ქულით დაასრულა.

მორიგი მატჩი თბილისის ოლიმპიურ სასახლეში 18 მაისს გაიმართება.

## შედეგები

**15 მაისი**

**ფეხბურთი**

**ამხანაგური მატჩი**

ს.არაბეთი-საბერძნეთი .................. 2:0

**ინგლისი. ჩემპიონლიგა**

**ფლეი ოფი**

ასტონ ვილა-მიდლსბრო ................ 0:0

**საფრანგეთი. მე-2 ლიგა**

**ფლეი ოფი**

ლე ავრი-ბრესტი ............................ 2:0

**ჰოლანდია. ეჰედივიზიონი**

ვიტესი-უტრეხტი ........................... 3:2

*ვიტესის მე-3 გოლი გურამ კაშიამ გაიტანა*

**ავსტრია. ბუნდესლიგა**

ვოლფსბერგერი-აუსტრია ............ 2:1

მოამზადა მიხეილ ქორქოლიანმა

# გერმანული სიურპრიზი, პერუ ლიდერის გარეშე და სხვა გაფართოებული შემადგენლობები



მსოფლიოს ჩემპიონატი ახლოვდება და გუნდების მთავარმა მწვრთნელებმა გაფართოებული თუ პირდაპირ 23-კაციანი შემადგენლობების დასახელება დაიწყეს.

გერმანიის ნაკრების თავკაცმა იოახიმ ლიოვმა თავისი რჩეულების სია გამოაქვეყნა, რომელიც ამ ეტაპზე 27-კაციანია.

უნდა აღვნიშნოთ, რომ ბუნდესნაკრების თავკაცმა გაფართოებულ სიაში ფრაიბურგის თავდამსხმელი ნილს პეტერსენი შეიყვანა, რომელსაც 29 წლის ასაკში ექნება დებიუტი, თუ, რა თქმა უნდა, ათამაშა. პეტერსენმა ბუნდესლიგაში 15 გოლი გაიტანა და ყველაზე შედეგიანი გერმანელი თავდამსხმელი იყო. 15 გოლის გარდა, პეტერსენის ანგარიშზე 3 საგოლე პასიც იყო. აღსანიშნავია, რომ ნილსმა 8 გოლი შეცვლაზე შესვლის შემდეგ გაიტანა.

ასევე სიაშია ბუნდესლიგიდან გავარდნილი გუნდის, კიოლნის მცველი იონას ჰექტორი.

**ლიოვის სრული სია ასეთია:**

**მეკარეები:** მაუელ ნოიერი (ბაიერნი), მარკ-ანდრე ტერ შტეგენი (ბარსელონა), ბერნდ ლენო (ლევერკუზენი), კევინ ტრაპი (პსჟ);

**მცველები:** ჟერომ ბოატენგი, მატს ჰუმელსი, ნიკლას ზულე, ჯოშუა კიმიხი (ყველა ბაიერნი), ანტონიო რუდიგერი (ჩელსი), იონას ჰექტორი (კიოლნი), მარვინ პლატენჰარდტი (ჰერტა), ჯონათან ტაჰი (ლევერკუზენი), მათიას გინტერი (გლადბახი);

**ნახევარმცველები:** იულიან ბრანდტი (ლევერკუზენი), იულიან დრაქსლერი (პსჟ), ლეონ გორეცკა, სებასტიან რუდი (ორივე ბაიერნი), ილქაი გიუნდოგანი, ლეროი ზანე (ორივე მანჩესტერ სიტი), სამი ხედირა (იუვენტუსი), ტონი კროოსი (რეალი), მესუთ იოზილი (არსენალი"), მარკო როისი (დორტმუნდი);

**თავდამსხმელები:** თომას მიულერი (ბაიერნი), ტიმო ვერნერი (ლაიპციგი), მარიო გომესი (შტუტგარტი), ნილს პეტერსენი (ფრაიბურგი);

შვედეთის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა იანე ანდერსონმა პირდაპირ 23-კაციანი სია გამოაქვეყნა, რაც იმას ნიშნავს, რომ თუ რაიმე გაუთვალისწინებელი არ მოხდა, შვედეთის ღირსებას მუნდიალზე ზუსტად ეს 23 ფეხბურთელი დაიცავს.

აღსანიშნავია, რომ შვედეთის ჩემპიონატში არც ერთი მათგანი არ თამაშობს. რაც ყველაზე საინტერესოა, ზლატან იბრაჰიმოვიჩი ნაკრებში არ ბრუნდება და მსოფლიოს ჩემპიონატზე არ ითამაშებს.

**გუნდის საბოლოო შემადგენლობა ასე გამოიყურება:**

**მეკარეები:** რობინ ოლსენი (კოპენჰაგენი), კარლ-იოჰან იონსონი (გენგამი), კრისტოფერ ნორდფელდტი (სუონსი);

**მცველები:** მიკაელ ლუსტიგი (სელტიკი), ანდრეას გრანკვისტი (კრასნოდარი), ვიქტორ ლინდელოფი (მანჩესტერ იუნაიტედი), ლუდვიგ აუგუსტინსონი (ვერდერი), ემილ კრაფტი, ფილიპ ჰელანდერი (ორივე ბოლონია), პონტუს იანსონი (ლიდსი), მარტინ ოლსონი (სუონსი);

**ნახევარმცველები:** ვიქტორ კლაესონი (კრასნოდარი), სებასტიან ლარსონი (ჰალ სიტი), ალბინ ეკდალი (ჰამბურგი), ემილ ფორსბერგი (ლაიპციგი), ჯიმი დურმაზი (ტულუზა), გუსტავ სვენსონი (სიეტლი), ოსკარ ჰილიემარკი (ჯენოა), მარკუს როდენი (კროტონე);

**თავდამსხმელები:** მარკუს ბერგი (ალ აინი), ოლა ტოივონენი (ტულუზა), ჯონ გუიდეტი (ალავესი), ისაკ კისე თელინი (ბევერენი);

დანიის ნაკრების თავკაცმა ოგე ჰარეიდემ 35-კაციანი სია გამოაქვეყნა, საიდანაც 23 საუკეთესოს 4 ივნისამდე დაასახელებს. გუნდის ლიდერი და მთავარი იმედი ტოტენჰემის გამთამაშებელი კრისტიან ერიკსენია.

**სკანდინაველთა გაფართოებული შემადგენლობა ასე გამოიყურება:**

**მეკარეები:** იესპერ ჰანსენი (მიდტიულანდი), იონას ლიოსლი (ჰადერსფილდი), ფრედერიკ რიონოვი (ბრონდბიუ), კასპერ შმაიხელი (ლესტერი);

**მცველები:** პეტერ ანკერსენი, ნიკოლაი ბოილესენი (ორივე კოპენჰაგენი), ანდრეას ბიელანდი, ჰენრიკ დალსგაარდი (ორივე ბრენტფორდი), ანდრეას კრისტენსენი (ჩელსი), რიზა დურმისი (ბეტისი), მათიას იორგენსენი (ჰადერსფილდი), სიმონ კიაერი (სევილია), იონას კნუდსენი (იფსვიჩი), იენს ლარსენი (უდინეზე), იანიკ ვესტერგაარდი (გლადბახი);

**ნახევარმცველები:** თომას დილეინი (ვერდერი), კრისტიან ერიკსენი (ტოტენჰემი), პიერ ემილ ჰოიბერგი (საუთჰემპტონი), მათიას იენსენი (ნორდსიელანდი), მაიკ იენსენი (რუსენბორგი), მიკაელ კრონ-დელი (დეპორტივო), ვილიამ კვისტი (კოპენჰაგენი), ლუკას ლერაგერი (ბორდო), ლასე შიონე (აიაქსი), დანიელ ვასი (სელტა);

**თავდამსხმელები:** ნიკლას ბენდტნერი (რუსენბორგი), მარტინ ბრეიტუეიტი (ბორდო), ანდრეას კორნელიუსი (ატალანტა), კასპერ დოლბერგი (აიაქსი), ვიქტორ ფიშერი, რობერტ სკოვი (ორივე კოპენჰაგენი), ნიკოლაი იორგენსენი (ფეიენოორდი), იუსუფ პოულსენი (ლაიპციგი), პიონე სისტო (სელტა), კენეტ ზოჰორე (კარდიფი);

კოლუმბიის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ნესტორ ხოსე პეკერმანმა 34-კაციანი გაფართოებული შემადგენლობა დაასახელა.

არგენტინელ სპეციალისტს ყველა რგოლში ჰყავს თითო ლიდერი: არსენალის მეკარე დავიდ ოსპინა, ტოტენჰემის მცველი დავინსონ სანჩესი, ნახევარდაცვის ლიდერი ბაიერნის ფეხბურთელი ხამეს როდრიგესია, მასთან ერთად, უნდა ვახსენოთ იუვენტუსის გარემარბი ხუან კუადრადოა.

პეკერმანის პრობლემური ზონა თავდასხმაა, რადგან ფალკაო, ლუის მურიელ და კარლოს ბაკა ფორმაში ნამდვილად ვერ არიან.

**პეკერმანის სრული სია ასე გამოიყურება:**

**მეკარეები:** დავიდ ოსპინა (არსენალი), კამილო ვარგასი (დეპორტივო კალი), ივან არბოლედა (ბანფილდი), ჯოსე ფერნანდო კუადრადო (კალდასი);

**მცველები:** სანტიაგო არიასი (ეინდჰოვენი), ფრანკ ფაბრა (ბოკა ხუნიორსი), დავინსონ სანჩესი (ტოტენჰემი), კრისტიან საპატა (მილანი), იერი მინა (ბარსელონა), ხოან მოხიკა, ბერნარდო ესპინოსა (ორივე ხირონა), ოსკარ მურილიო (პაჩუკა), ფარიდ დიასი (ოლიმპია), სტეფან მედინა (მონტერეი), ვილიამ ტესილიო (ლეონი);

**ნახევარმცველები:** აბელ აგილარი (კალი), ვილმარ ბარიოსი, ედვინ კარდონა, სებასტიან პერესი (ყველა ბოკა ხუნიორსი), ხამეს როდრიგესი (ბაიერნი), კარლოს სანჩესი (ესპანიოლი), ჯეფერსონ ლერმა (ლევანტე), ჯოვანი მორენო (შანხაი), ხუან ფერნანდო კუინტერო (რივერ პლეიტი), ხუან გილერმო კუადრადო (იუვენტუსი), გუსტავ კუელარი (ფლამენგო), მატეუს ურიბე (ამერიკა);

**თავდამსხმელები:** რადამელ ფალკაო (მონაკო), კარლოს ბაკა (ვილიარეალი), დუვან საპატა (სამპდორია), მიგეკ ბორხა (პალმეირასი), ხოსე ისკიერდო (ბრაიტონი), ლუის მურიელი (სევილია), ტეოფილო გუტიერესი, იიმი ჩარა (ორივე ხუნიორი);

პერუსეროვნული ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა რიკარდო გარეკამ მსოფლიოს 2018 წლის ჩემპიონატისთვის გუნდის 25-კაციანი გაფართოებული შემადგენლობა დაასახელა, საიდანაც რუსეთში გასამგზავრებლად 23 უნდა შეირჩეს. მაგრამ არგენტინელი სპეციალისტისა და მთლიანად პერუს ნაკრების გულშემატკივრებისთვის, სამწუხაროდ, შემადგენლობაში ცვლილების შეტანა უმალ გახდა საჭირო: სიაში შეყვანილ პერუს მთავარ იმედს, ნაკრების საუკეთესო ბომბარდირსა და კაპიტანს პაოლო გერეროს, ბოლო მომენტში დისკვალიფიკაციის ვადა გაუხანგრძლივეს და ფლამენგოს ფეხბურთელის მუნდიალზე თამაშიც ავტომატურად გამოირიცხა. გერეროს ორგანიზმში კოკაინის კვალი, 6 ოქტომბერს, მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში, ბუენოს აიერსში არგენტინასთან (0:0) მატჩის შემდეგ ჩატარებული დოპინგ-ტესტის შედეგად გამოვლინდა.

მიუნხენის ბაიერნისა და ჰამბურგის ყოფილი თავდამსხმელი პაოლო გერერო, რომელიც ბრაზილიურ ფლამენგოში 2015 წლიდან გამოდის, რუსეთში პერუს ნაკრების მთავარი იმედი უნდა ყოფილიყო. 34 წლის ფეხბურთელს ეროვნულ გუნდში ჩატარებულ 77 მატჩში 32 გოლი აქვს გატანილი და ნაკრების ისტორიაში საუკეთესო ბომბარდირია.

**მეკარეები:** პედრო გალიესე (ვერაკრუსი), ხოსე კარვალიო, კარლოს კასედა (ორივე უნივერსიტარიო);

**მცველები:** ლუის აბრამი (ველეს სარსფილდი), ლუის ადვინკულა (ლობოს ბუაპი), მიგელ არაუხო (ალიანსა ლიმა), ალდო კორსო (უნივერსიტარიო), ნილსონ ლოიოლა (მელგარი), კრისტიან რამოსი (ვერაკრუსი), ალბერტო როდრიგესი (ატლეტიკო ხუნიორი), ანდერსონ სანტამარია (პუებლა), მიგელ ტრაუკო (ფლამენგო);

**ნახევარმცველები:** პედრო აკინო (ლობოს ბუაპი), ვილდერ კარტახენა (ვერაკრუსი), კრისტიან კუევა (სან პაულო), ედისონ ფლორესი (ოლბორგი), პაოლო ურტადო (ვიტორია), სერხიო პენია (გრანადა ბ), ანდი პოლო (პორტლენდ ტიმბერსი), რენატო ტაპია (ფეიენოორდი), იოსიმარ იოტუნი (ორლანდო სიტი);

**თავდამსხმელები:** ანდრე კარილიო (ბენფიკა), რაულ რუიდიასი (მორელია), ჯეფერსონ ფარფანი (ლოკომოტივი);

# 20 წლამდე ნაკრები აზერბაიჯანიდან ბოლო ადგილით დაბრუნდა



საქართველოს ახალგაზრდულმა ნაკრებმა, ევროპის ჩემპიონატის წინ, აზერბაიჯანის დედაქალაქ ბაქოში, ყოფილი პრეზიდენტის, ჰეიდარ ალიევის თასზე, საწვრთნელი ტურნირი ითამაშა. ტურნირში აზერბაიჯანული და ქართული 2-2 გუნდი მონაწილეობდა.

გამარჯვებული, აზერბაიჯანის თასის მფლობელი, ბაქოს მაჰსული გახდა; მეორე ადგილზე გავიდა, საქართველოს ჩემპიონი, ბათუმის შავი ზღვის ბიჭები; მესამე იყო აზერბაიჯანის ჩემპიონი – ბაქი; მეოთხე კი, საქართველოს ოცწლამდელთა ნაკრები.

სწორედ 20 წლამდე ასაკის ნაკრებისთვის იყო ეს ტურნირი გათვალისწინებული, მოსამზადებელი პერიოდის ფარგლებში. რით დარჩა კმაყოფილი და რით უკმაყოფილო, ნაკრების მთავარი მწვრთნელი, გიორგი გვაზავა საუბრობს:

– ტურნირს თუ მხოლოდ მზადების ერთ-ერთ ეტაპად განვიხილავთ, კმაყოფილი ვარ, შედეგით – არა. ორივე აზერბაიჯანულ კლუბს პირველი ტაიმი მოვუგეთ და ბოლოში ძალა არ გვეყო. ცალსახად უკმაყოფილო ვარ ბათუმთან თამაშით, რომლისთვისაც ბიჭები, რატომღაც, საბრძოლველად ვერ განეწყვნენ.

აზერბაიჯანული კლუბების ძალას რაც შეეხება, ნორმალური გუნდები არიან, ჰყავთ რამდენიმე უცხოელი – უკრაინელი, ეგვიპტელი ხელბურთელები. თუ გავითვალისწინებთ აზერბაიჯანელი მსაჯების ფაქტორსაც, იმას, რომ ტურნირზე ჩვენ პირდაპირ საქართველოს ჩემპიონატის ფინალური მატჩების შემდეგ გავემგზავრეთ და აღდგენა ვერ მოვასწარით, და დავუშვებთ, რომ ორივე ეს გუნდი, ბაქი და მეჰსული, საქართველოს ჩემპიონატზე თამაშობს, ჩვენი სამივე მოწინავე კლუბი მათ დაამარცხებს, ოღონდ, ბევრით ვერა.

რაც შეეხება ახალგაზრდულ ნაკრებს და ევროპის ჩემპიონატისთვის მზადების მომავალ გეგმას, ასეთია: 15 მაისიდან გვექნება სამკვირიანი ფიზიკური მომზადების ციკლი თბილისსა და ურეკში. შემდეგ რამდენიმე თამაში გვექნება ჩვენს 18-წლამდელთა ნაკრებთან, რომელსაც ევროპის ჩემპიონატი აგვისტოში, თელავში აქვს.

შეგახსენებთ, რომ 20-წლამდელთა ჩემპიონატი, 20-29 აგვისტოს გაიმართება ჩერნოგორიაში. ჯგუფში მეტოქეებად გვყავს სლოვაკეთი, თურქეთი, ჩერნოგორია და ლატვია. ვფიქრობ, აშკარა ფავორიტი მასპინძლების გუნდი იქნება. დანარჩენებთან კი, თანაბრად ბრძოლა უნდა შევძლოთ.

# ნიკოლოზ ბასილაშვილმა ჯოკოვიჩთან უშანსოდ წააგო



ნიკოლო ბასილაშვილი რომის მასტერსს გამოეთიშა. მეორე წრეში მისი მეტოქე ნოვაკ ჯოკოვიჩი გახდა, რომელსაც 14 დიდი სლემის ტურნირი აქვს მოგებული და წლების მანძილზე მსოფლიოს პირველი ჩოგანი იყო. ბოლო პერიოდში ჯოკოვიჩი არ არის ოპტიმალურ ფორმაში, მაგრამ ბასილაშვილი მან საკმაოდ ადვილად დაამარცხა 2 სეტში, ანგარიშით 6:4, 6:2.

პირველ სეტში ბასილაშვილმა ბოლომდე იბრძოლა, მაგრამ გადამწყვეტ მომენტებში ჯოკოვიჩის კლასმა და გამოცდილებამ თავისი ქნა. მეორე სეტი კი ნოვაკმა იოლად მოიგო.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

# ბათუმი 2018: მედიატურნირი გოჩა თანდარაშვილმა მოიგო



23 სექტემბრიდან 5 ოქტომბრამდე ბათუმი 43-ე საჭადრაკო ოლიმპიადას უმასპინძლებს. ამ პრესტიჟული ტურნირის ორგანიზატორებს მზადება დაწყებული აქვთ. რამდენიმე ღონისძიებასთან ერთად საორგანიზაციო კომიტეტმა ორგანიზებული მედიატურნირი მოაწყო, რომელშიც 28 მონაწილე გამოდიოდა. გამარჯვებული „კომედი არხის“ წარმომადგენელი გოჩა თანდარაშვილი გახდა – ჩემპიონმა დაუმარცხებლად განვლო ტურნირი, 7 შესაძლებლობიდან 6 ქულა დააგროვა.

ვიცე-ჩემპიონის წოდება ტელეკომპანია ზაქრო ინწკირველმა (რუსთავი 2) მოიპოვა, მესამე ადგილზე კი კიდევ ერთი ტელეკომპანიის იმედის წარმომადგენელი ნიკა ახალაია გავიდა. ინწკირველმა, ახალაიამ და მეოთხე ადგილზე გასულმა თენგიზ ჩობანიძემ (პორტალი „მსოფლიო სპორტი“) 5,5 ქულა დააგროვეს, მათ შორის ადგილები კი ბუჰჰოლცით განაწილდა. გაზეთ „ახალი თაობის“ წარმომადგენელი 4,5 ქულით მე-6 ადგილზე გავიდა.

ტურნირი რაპიდში (15 წუთი, სვლაზე 10 წამი) გაიმართა და შესანიშნავად იყო ორგანიზებული.

გია გიორგაძე, საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტი:

– ვულოცავ გამარჯვებულებს, მათთვის კი, ვინც ამჯერად ვერ ითამაშა, ვიტყვი, რომ ოლიმპიადის მოახლოებასთან ერთად კიდევ გვექნება რამდენიმე აქტივობა, სადაც თავის გამოჩენის საშუალება გექნებათ. ჟურნალისტების თამაშების შემხედვარე, უნდა აღვნიშნო, რომ თქვენ შორის რამდენიმე საინტერესო მოჭადრაკეა.

ზურაბ აზმაიფარაშვილი, ევროპის საჭადრაკო კავშირის პრეზიდენტი:

– ჩვენთვის, ბათუმის ოლიმპიადის საორგანიზაციო კომიტეტისთვის ძალიან მნიშვნელოვანია ჟურნალისტებთან მჭიდრო ურთიერთობა და ეს მედიატურნირი, ვფიქრობ, ამ მიზნისკენ გადადგმული კარგი ნაბიჯია. 43-ე საჭადრაკო ოლიმპიადა, რომელსაც ბათუმი 23 სექტემბრიდან 6 ოქტომბრამდე უმასპინძლებს, მხოლოდ სპორტული შეჯიბრება არაა, ის ძალიან დიდი გამოწვევაა საქართველოსთვის და დარწმუნებული ვარ, ამ დარბაზში მყოფი თითოეული ჩვენგანი საპასუხისმგებლო გამოცდას საუკეთესოდ ჩავაბარებთ.

გიორგი გიორგაძემ და ზურაბ აზმაიფარაშვილმა, ასევე მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონმა ნონა გაფრინდაშვილმა და მსოფლიოს ორგზის ვიცე-ჩემპიონმა ნანა იოსელიანმა ტურნირის ყველა მონაწილეს 43-ე საჭადრაკო ოლიმპიადის სიმბოლიკით დამშვენებული საჩუქრები გადასცეს, გამარჯვებულები და პრიზიორები კი სპეციალური პრიზებით დააჯილდოვეს.

**მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა**

# ამერიკელი ნინძა ქალების ტუალეტში შევიდა




ამერიკის ორეგონის შტატის ქალაქ ფორესტგროვში ქალების ტუალეტში აღმოჩნდა აღმოსავლური ორთაბრძოლების მოყვარული, რომელსაც სახეზე ნიღაბი ეკეთა.

მამაკაცი ადგილობრივ სპორტდარბაზში მივიდა, თავზე ნიღაბი ჩამოიცვა, რომელიც სახეს უფარავდა და აღმოსავლური ორთაბრძოლების რამდენიმე ილეთი ჩაატარა, რის შემდეგაც ქალების ტუალეტისკენ გაემართა.

მის შესაჩერებლად პოლიციის თანამშრომლების ჩარევა გახდა საჭირო. მათ მამაკაცი სპორტდარბაზიდან გაიყვანეს და უკან დაბრუნება აუკრძალეს, მაგრამ ნინძა არ დამშვიდდა და მალე სცენა გამართა იქვე შორიახლოს მდებარე მაღაზიაში. ამის შემდეგ ის დააპატიმრეს.

# ზვიგენმა მეთევზეს, რომელმაც დაიჭირა, უკბინა



ზვიგენმა, რომელიც ბრიტანული თევზსაჭერი გემის ბადეში აღმოჩნდა, ერთ-ერთ მეთევზეს უკბინა.

ინციდენტი რამდენიმე დღის წინ დიდი ბრიტანეთის სამხრეთ-დასავლეთ სანაპიროსთან ლენდს ენდის კონცხიდან 200 კილომეტრში მოხდა. სხვა თევზებთან ერთად გემბანზე აღმოჩნდა ატლანტიკური სელდური ზვიგენიც, რომელიც შემთხვევით გაება ბადეში. როდესაც მეთევზეები მის განთავისუფლებას შეეცადნენ, მტაცებელმა თევზმა ერთ-ერთ მათგანს პირი ფეხში ჩაავლო.

მეზღვაურს ჭრილობა დაუმუშავეს და გადაუხვიეს, შემდეგ სანაპირო დაცვას რადიოთი დაუკავშირდნენ და მომხდარის შესახებ აცნობეს. ამის შემდეგ კორნუოლის ქალაქ ნიუკიდან ხომალდისკენ გაიგზავნა შვეულმფრენი მაშველებით. ადგილზე მისულმა მედიკოსებმა დაშავებული გასინჯეს, რის შემდეგაც ის შვეულმფრენზე გადაიყვანეს. ამჟამად მეთევზე საავადმყოფოში იმყოფება.

ატლანტიკური სელდური ზვიგენი სიგრძეში სამ მეტრამდე აღწევს და ის ადამიანისთვის სახიფათო არსებად ითვლება.

# ქათმისკოსტუმიანი ამერიკელი ალიგატორის გამო დააჯარიმეს



ქათმის კოსტიუმში გამოწყობილმა ამერიკელმა გზიდან გადაათრია ალიგატორი, რომელიც მანქანების მოძრაობას ხელს უშლიდა, რისთვისაც მას ჯარიმის გადახდა მოუწევს.

ლოგან კემბრონი, რომელიც ამერიკის სამხრეთ კაროლინას შტატის კუნძულ ჰილტონ-ჰედ-აილენდიდანაა, უჩვეულო კოსტუმში გამოწყობილი იმიტომ დადის, რომ მის დანახვაზე მძღოლებმა სიჩქარეს მოუკლონ. თავისი სამუშაოს შესრულების დროს მან შენიშნა, რომ გზაზე სამმეტრიანი ალიგატორი იწვა და მოძრაობას კეტავდა. კემბრონმა გადაწყვიტა, რეპტილია გზიდან გადაეყვანა, ამასთან მეხანძრეებს დაუკავშირდა და გააფრთხილა.

– მათ მე მითხრეს, რომ თუ რაიმე დაზიანებას მივიღებდი, თავად ვიქნებოდი დამნაშავე. თქვენ იქნებით პასუხისმგებელი იმაზე, თუ ეგ ცხოველი რაიმე დაზიანებას მოგაყენებთ, – განაცხადა ამერიკელმა.

ამის შემდეგ, ის ალიგატორს ზევიდან მოაჯდა, პირში ქსოვილის ნაჭერი ჩაუდო და საკუთარ პიკაპზე მოათავსა, რათა რეპტილია უახლოს გუბურაში გაეშვა. მან აღნიშნა, რომ იცოდა ალიგატორთან მიახლოვების აკრძალვის თაობაზე, მაგრამ ფიქრობდა, რომ მდგომარეობის გათვალისწინებით სწორედ მოიქცა, ვინაიდან გააუვნებლა ადამიანებიც და თავად ცხოველიც.

საბოლოოდ შტატის ბუნებრივი რესურსების სამინისტრო მამაკაცის მიმართ 105-დოლარიანი ჯარიმით შემოიფარგლა, დაპატიმრების სანაცვლოდ.

– მისისიპური ალიგატორის ხელის ხლება და მისი გადაადგილება საგანგებო ნებართვის გარეშე აკრძალულია და მართალია ამ შემთხვევაში მას კეთილი განზრახვა ამოძრავებდა, ყველას ძალიან გაგვიმართლა, რომ არც კემბრონი და არც სხვა ვინმე არ დაშავებულა, – განაცხადა სამინისტროს პრეს-მდივანმა გრეგ ლუკასმა.

# ჩინელმა მეგობარი გოგონა ათასი კილომეტრი ურიკით ატარა



ჩინეთის პროვინცია განისუს მცხოვრებმა დაახლოებით ათასი კილომეტრი ატარა ურიკა, რომელზეც თავისი შეყვარებული ქალიშვილია მოთავსებული.

წყვილი 41 დღის წინ გამოვიდა პროვინცია განისუდან, რომელიც ქვეყნის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში მდებარეობს და გაემგზავრა ზღვის პირას მდებარე აღმოსავლეთის პროვინცია შანდუნის ქალაქ ვეიხაისკენ. მათ გაიარეს მეზობელი პროვინცია ვეიხაი და მიაღწიეს ქალაქ ჩჟენჩჟოუს პროვინცია ხენანში. მიზნის მისაღწევად, მათ კიდევ ათასი კილომეტრი უნდა გაიარონ.

– ჩემი შეყვარებული ყოველთვის ოცნებობდა, ზღვა ენახა, – განაცხადა ჩინელმა, – რამდენიმე წლის წინ სიტყვა მივეცი, რომ იქ ურიკით წავიყვანდი და ახლა მიცემულ დაპირებას ვასრულებ.

მისი თქმით, გოგონა დაჰპირდა, რომ თუ ის ჩანაფიქრს ნამდვილად შეასრულებდა, ცოლად გაჰყვებოდა. გზის უმეტეს ნაწილს გოგონა მამაკაცის გვერდით მიაბიჯებს, ურიკაზე კი მხოლოდ მაშინ ჯდება, როდესაც სიარულით დაიღლება. ხოლო როდესაც იღლება მისი შეყვარებული, მაშინ ისინი ადგილებს ცვლიან. მათი თქმით, გზაში ისინი ბუნების ცქერით ტკბებიან, ხოლო ცუდ ამინდში სასტუმროებში ბინავდებიან.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**



## ჩემო საყვარელო, მარიკა!

მარიკა, გილოცავ დაბადების დღეს!
შენ ხარ ყველაზე კეთილი და ყველაზე საყვარელი მეგობარი ჩემთვის. გისურვებ შენს ანასთან და ზაჩოსთან ერთად ჯანმრთელობასა და დიდხანს სიცოცხლეს.
შენი ყველა ოცნება შევსრულებოდეს.
გაიხარე და ღმერთი შეგეწიოს.

*სიყვარულით, ნანა*



# ასტროპროგნოზი

## 17 მაისისათვის



**ვერძი** – ვარსკვლავები გმფარველობენ. იღბლიანი დღეა როგორც კომერციული, ისე შემოქმედებითი კუთხით. **კურო** – ცოდნის არეალის გაფართოების გარეშე მიზნის მიღწევა გაგიჭირდებათ. საქმე თქვენგან უკომპრომისობას მოითხოვს. **ტყუპები** – ნეგატიური აზრები სასწრაფოდ უკუაგდეთ. დღის პირველ ნახევარში ერიდეთ საქმიან გარიგებებს. **კირჩხიბი** – მეგობრებთან შეხვედრა სხვა დროისათვის გადადეთ. დღეს უმჯობესია განმარტოება და დასვენება. **ლომი** – დაუმთავრებელი საქმეების გამო მომავალში უსიამოვნებას ელოდეთ. ახლო მეგობრის რჩევა ფასეული იქნება. **ქალწული** – თვითრეალიზაციის შანსი გეძლევათ. ნუ იზარმაცებთ. იფიქრეთ დაშვებულ შეცდომებსა და მათი გამოსწორების გზებზე. **სასწორი** – გულისხმას მოუსმინეთ და ნებისმიერი გადაწყვეტილება აუჩქარებლად მიიღეთ. **ღრიანკალი** – შესაძლოა დაგეგმილი მოგზაურობის გადადება მოგიხდეთ. სხვა, უფრო მნიშვნელოვანი საქმის შესასრულებლად მზად იყავით. **მშვილდოსანი** – იოლად ნურავის მიენდობით. მაქსიმალურად მომჭირნედ ხარჯეთ ფული. ნუ იქნებით იდეალისტი. **თხის რქა** – დამატებითი დატვირთვა გაუმართლებელია. მხოლოდ აუცილებელი საქმით დაკავდით. **მერწყული** – ფიზიკური დატვირთვა, ფიტნესი, ცურვა შესანიშნავი საშუალებაა სხეულის ფორმაში მოსაყვანად. აი, რა გჭირდებათ დღეს. **თევზები** – ბედი გწყალობთ. რთულ სიტუაციაში თავს ცუდად სულაც არ გრძნობთ. გამოსავლის პოვნას უპრობლემოდ ახერხებთ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

# კროსვორდი ბ



**შვეულად:** 1. ებრაული წესით დაყენებული ღვინო; 2. ხეობა, ნაკრძალი სტეფანწმინდის რაიონში; 3. მუდმივი სიდიდე მათემატიკაში; 4. გერმანელი მწერალი ქალი, ნობელის პრემიის ლაურეატი; 5. ქართველი პრიმაბალერინა; 8. გადასახადების ამკრეფი დაწესებულება ძველად საქართველოში; 9. ხელოვნების მუზეუმი ბერლინში; 12. ისრაელის დაზვერვა; 14. ისტორიული ციხე-ქალაქი მცხეთის მახლობლად; 16. დიპლომატიური წარმომადგენლობა.

**თარაზულად:** 1. სამონასტრო კომპლექსი კასპის რაიონში; 6. ისტორიული ციხე-სიმაგრე ზესტაფონის მახლობლად; 7. პირველი ამერიკელი კოსმონავტი; 9. გერმანული იმპერია; 10. თეთრყურძნოვანი ვაზის ქართული ჯიში; 11. სპორტული ინვენტარის მწარმოებელი იტალიური ფირმა; 15. ხარებთან ორთაბრძოლა; 17. ნიუ იორკის ერთ-ერთი რაიონი; 18. ყვავის ბარტყი; 19. ნაკურთხი წყალი; 20. ოსტატის მოწაფე.

**შეადგინა თ.გოგინაშვილმა**

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ვენეცია; 2. ორიენტირი; 3. ყინწვისი; 4. პერგოლა; 5. „გვრინი“; 9. რინერი; 11. რუსტიკა; 12. სეტყვა; 14. „სიმენსი“; 18. ეგერი; 19. ხუნდი.

**თარაზულად:** 4. პოკერი; 5. „გაგრიფში“; 6. ნიყვი; 7. პრატერი; 8. კენკრა; 10. ეწერი; 13. იბსენი; 15. „ტვენტე“; 16. სიტე; 17. კერე; 20. ეტიუდი; 21. კამენა; 22. კარკასი; 23. „დროება“.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. სხალთა; 2. „ლეგო“; 3. გალომანია; 4. „ლაციო“; 5. ვაქცინა; 8. იაფეტი; 9. პოლიფონია; 12. სურამი; 14. როტორი; 16. ერაყი.

**თარაზულად:** 1. სერვოლანი; 6. „მარაკანა“; 7. ალტინგი; 9. პაგოდა; 10. „გომი“; 11. ბეითალი; 13. ვარნა; 15. მულინე; 17. ბანდიტი; 18. ქაფშია; 19. კვარცი; 20. ლივადია.

# ნიაზ დიასამიძე: „თანასწორობა ერთადერთი მართალი გზაა საქართველოსთვის“



მომღერალი ნიაზ დიასამიძე ქვეყანაში განვითარებულ მოვლენებს მოკლე განცხადებით ეხმაურება:

– ნაციზმი – კლავს! ფაშიზმი – კლავს! რასიზმი – კლავს! ნარკოტიკი – კლავს!

თანასწორობა ერთადერთი მართალი გზაა საქართველოსთვის... დედამიწისთვის!

არა სიძულვილს! მადლობა წინაპრებს... მადლობა მომავალ თაობას!

# ჰანოვერის ოპერის სცენა ქართულმა ხმებმა წალეკეს



ჰანოვერის ოპერაში ჯუზეპე ვერდის „აიდას“ პრემიერა გაიმართა. სპექტაკლში სამმა ქართველმა ოპერის მომღერალმა მიიღო მონაწილეობა.

ამნერისის პარტია ხათუნა მიქაბერიძემ იმღერა, რადამესის – გიორგი ონიანმა, რამფისის კი – შავლეგ მაჭარაშვილმა.

პრემიერას ესწრებოდა კიდევ ერთი ქართველი ოპერის მომღერალი ნანიკო ძიძიგური, რომელმაც სიამაყით განაცხადა, რომ ქართულმა ხმებმა ჰანოვერის ოპერის სცენა წალეკა:

– სასწაული ხდებოდა ჰანოვერის ოპერის სცენაზე – ქართულმა ხმებმა წალეკეს აქაურობა. „აიდას“ პრემიერაზე დაინგრა დარბაზი თითოეული მათგანის გამოსვლით! უბედნიერესი და უამაყესი ვიჯექი დარბაზში, რისთვისაც უდიდესი მადლობა ამნერისების ამნერისს, ხათუნა მიქაბერიძეს!?კიდევ ერთხელ გილოცავთ ამ დიდ წარმატებას!

# ხელოვნების სასახლეს ევროპის უმაღლესი ჯილდო მიენიჭა



ხელოვნების სასახლემ საერთაშორისო წარმატებას მიაღწია. „ქსოვილი საქართველოდან“ სამეცნიერო კვლევითი პროექტია, რომელმაც 2018 წლის ევროკავშირის კულტურული მემკვიდრეობის პრიზი – ევროპა ნოსტრას ჯილდო მოიპოვა.

ევროკომისიამ და ევროპა ნოსტრამ კულტურული მემკვიდრეობის სფეროში ევროპის უმაღლესი აღიარების, ევროკავშირის კულტურული მემკვიდრეობის პრიზის, ევროპა ნოსტრას ჯილდოს 2018 წლის მფლობელები გამოავლინეს.

აღიარება 4 ნომინაციაში: კონსერვაცია; კვლევა; განსაკუთრებული ღვაწლი; განათლება, სწავლება და ცნობიერების ამაღლება, 17 ქვეყნის 29 ლაურეატმა მოიპოვა.

„ქსოვილი საქართველოდან“ სამეცნიერო კვლევითი პროექტი წლევანდელ გამარჯვებულთა შორისაა. ევროპის კულტურული მემკვიდრეობის წლის აღნიშვნის ფარგლებში, დამოუკიდებელმა ჟიურიმ განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა ევროპულ ღირებულებებზე დაფუძნებულ პროექტებზე.

ევროკავშირის კულტურული მემკვიდრეობის პრიზის ევროპა ნოსტრას ჯილდოს 2018 წლის გამარჯვებულების დაჯილდოება 22 ივნისს, ბერლინში, ევროპის კულტურული მემკვიდრეობის პირველი სამიტის ფარგლებში გაიმართება.

მოქალაქეებს მთელი მსოფლიოდან შესაძლებლობა აქვთ მხარი დაუჭირონ და ხმა მისცენ მათთვის საინტერესო პროექტს პრიზის – „საზოგადოების რჩეული“ მოსაპოვებლად.

გიორგი კალანდია, ხელოვნების სასახლის დირექტორი:

– ხელოვნების სასახლის კიდევ ერთი საერთაშორისო წარმატება, ჩვენი შრომის და ეროვნული კულტურის მსოფლიო დონეზე აღიარება! პროექტი, რომელსაც 2 წელი ვქმნიდით და რომელსაც „ქსოვილი საქართველოდან“ ჰქვია, ცნობილი გახდა, რომ ევროპის უმაღლესი აღიარება – ჯილდო „ევროპა ნოსტრა“ მოიპოვა, თანაც ნომინაციაში სამეცნიერო-კვლევითი პროექტები.

მაშ ასე, ჩვენი ნაშრომი „ქსოვილი საქართველოდან“ ევროპის მასშტაბით საუკეთესო სამეცნიერო კვლევად დასახელდა! ვულოცავ ხელოვნების სასახლეს! მადლობა კულტურის სამინისტროს, რომლის თანადგომითაც შევქმენით ეს წიგნი, მადლობა ევროპა ნოსტრა საქართველოს, ჩვენს განსაკუთრებულ მხარდამჭერს.

დიახ, ჩვენ გვაქვს ამბიცია, ვიყოთ მსოფლიოს საუკეთესო მუზეუმთა შორის! დანარჩენი ბერლინში დაჯილდოების გრანდიოზულ ცერემონიალზე!

# იოანე არაბული: „მე არ ვარ გეი!“



– მე არ ვარ გეი, არ ვარ ნარკორეალიზატორი, არ ვარ ნარკომანი, არ მიყვარს ყანწები, არ მიყვარს გაჩხერილი ადამიანების ყურება, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ მე ვინმე აქედან მეზიზღება ან ცემას დავუწყებ, ყველა ადამიანი თანასწორია! – აცხადებს მომღერალი იოანე არაბული:

– 1. ტელევიზორიდან ჩანდა სულ სხვა და იქ სულ სხვა სიტუაცია იყო, ატმოსფერო არაჩვეულებრივი, ლაღი, მეგობრული, კაცთმოყვარე და თავისუფალი ხალხი. ინტერნეტი რა თქმა უნდა, იტაცებს ერთეულებს, რომლებზეც მერე საბაბი ეძლევათ, რომ რამე თქვან, დასცინონ ან მთელ ქვეყანას, ან ახალგაზრდობას შეადარონ ერთი ადამიანი. სრულიად უწყინარი, უბრალოდ თავისებური...

2. აქციის ფორმატი იყო არნახული საქართველოს მთლიანი ისტორიის განმავლობაში, ცეკვით და მუსიკით გამოხატული მშვიდობიანი პროტესტი. მთელი მსოფლიოდან არტისტებმა, ტელევიზიებმა თუ გამოცემებმა პოზიტიურად შეაფასეს ეს მოვლენა და მხარდაჭერა გამოთქვეს.

3. მეორე მხარეს იდგნენ თავზეხელაღებული პრორუსულ, ფაშისტური, აგრესიული ძალები, ხალხი, რომლებიც სანთლებით ხელში დედებს გვაგინებდნენ, ქვებს გვესროდნენ, ქაშუეთის უკან ჯგუფებად დადიოდნენ და აქციაზე მოსულ ხალხს სცემდნენ, გოგოებსაც. ჩემ ერთ მეგობარ გოგოს სცემეს! იქიდან შუა თითს გვიშვერდნენ, ჩვენ კიდევ საპასუხოდ ორ თითს... სურვილი აქვთ, რომ ისე ვიცხოვროთ, როგორც მათ უნდათ, მაგრამ ეგ არასდროს არ მოხდება, დროთა განმავლობაში შეეგუებიან მაგასაც.

4. ჩემი აზრით, შს მინისტრის განცხადება იყო უპრეცედენტო ალბათ არამარტო საქართველოსთვის, ვაფასებ, რომ ის მოვიდა და პირადად დაგველაპარაკა, ოღონდ ჩვენ დაგველაპარაკა, ხალხს, ჩვენ გვიყურებდა და არა რამდენიმე ღიპიან ბიძოს, როგორც კონტრაქციაზე, იქ, უბრალოდ, ხალხს ვერ დაელაპარაკებოდა, ვერ../

5. მე არ ვარ გეი, არ ვარ ნარკორეალიზატორი, არ ვარ ნარკომანი, არ მიყვარს ყანწები, არ მიყვარს გაჩხერილი ადამიანების ყურება, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ მე ვინმე აქედან მეზიზღება ან ცემას დავუწყებ, ყველა ადამიანი თანასწორია!

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გალიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე–10 კორპუსი.**
**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

# ლელა წურწუმია სოლო კონცერტს გამართავს



20 მაისს მომღერალი ლელა წურწუმია რამდენიმეწლიანი პაუზის შემდეგ თბილისის დიდ საკონცერტო დარბაზში გრანდიოზულ სოლო კონცერტს გამართავს.

კონცერტისთვის მომღერალი დიდი ხანია ემზადება. ლელა წურწუმია და გუფი ლენდი საქართველოს გარშემო კონცერტებს ატარებს. დასკვნითი საღამო კი თბილისის საკონცერტო დარბაზში ჩატარდება.

მომღერლის სოლო კონცერტის რეჟისორი დავით დოიაშვილია, ხმის რეჟისორი ჯერარდ ალბო, ფოტოებზე გრიგორ დევეჯიევი მუშაობს, სცენოგრაფი ვანო ჭელიძეა.

ლელა წურწუმიას სოლო კონცერტის მონაწილეები არიან გუფილენდი, დავით მაზანაშვილის ორკესტრი და მოცეკვავეების დასი. მომღერალი კონცერტზე შეასრულებს ახალ სიმღერებს და საინტერესო დუეტებს ცნობილ მომღერლებთან ერთად.

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

# სამგლოვიარო განცხადებები

## გარდაიცვალა ნათელა ნამორაძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ვლადიმერ ჭავჭანიძის სახელობის კიბერნეტიკის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი. ის არ იყო რომელიმე აკადემიის წევრი, არ იყო მეცნიერებათა დოქტორი, არ იყო მეცნიერებათა კანდიდატი, არ იყო პროფესორი, ან დოცენტი. მას არასოდეს ეკავა რაიმე ხელმძღვანელი თანამდებობა. მთელი სიცოცხლის მანძილზე რჩებოდა ინსტიტუტის რიგით თანამშრომლად. ამის მიუხედავად იყო შეუდარებელი მეცნიერი – ფიზიკოსი-თეორეტიკოსი, რომელიც იკვლევდა მოლეკულური ბიოფიზიკის ფუნდამენტურ საკითხებს. მისმა ერთმა ნაშრომმა, რომელიც გამოქვეყნდა 1975 წელს ჟურნალში „Молекулярная биология“ საერთო ყურადღება მიიპყრო, ხოლო 1977 წელს საერთაშორისო ჟურნალში „Biophysical Chemistry“ გამოქვეყნებულ სტატიას კი მოჰყვა სათანადო ამონაბეჭდის მოთხოვნების „ზღვა-ნაკადი“ მსოფლიოს მრავალი ქვეყნიდან. მისი თანაავტორობით ნაშრომები ქვეყნდებოდა ისეთ ავტორიტეტულ საერთაშორისო ჟურნალებში, როგორიცაა „Physical Review“, „Journal of Physics and Chemistry of Solids“, „Journal of Alloys and Compounds“ და სხვ.

რატომ არ დაიცვა ნათელამ დისერტაციები – ამაზე პასუხი მარტივია – იმიტომ, რომ იყო უერთგულესი შვილი (თავის დედას, ქიმიკოს ლილი გოკიელს, „აჩუქა“ მინიმუმ 15 წლის სიცოცხლე) და უერთგულესი მეუღლე. უანგაროდ ამოუდგა მხარში თავის მეუღლეს, თეორეტიკოს სოსო რატიშვილს, წყალბადის მშთანთქმელი ლითონების ფიზიკური თვისებების შესწავლაში (აქ ვიღას ეცალა დისერტაციის გაფორმებისთვის). თავისი სიცოცხლის ბოლო წუთებამდე ის რჩებოდა ამ უმნიშვნელოვანესი კვლევების იდეოლოგად.

ღმერთმა აცხონოს ქალბატონი ნათელას, ამ ერთგული და უანგარო მეცნიერის სული.

*კიბერნეტიკის ინსტიტუტი*

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

კალეიდოსკოპი

# 100 წლის ლატვიელმა მძღოლმა ავარიის ადგილიდან მიმალვა სცადა



რიგაში ავტომობილის ხანდაზმულ მძღოლს მცირე ავტოავარია შემთხვევა. ამ ინფორმაციას ლატვიის დედაქალაქის მუნიციპალური პოლიციის საინფორმაციო სამსახური ავრცელებს.

ინციდენტი დღისით მოხდა. პოლიციელებმა პატრულირების დროს შენიშნეს, რომ ხანდაზმული მამაკაცი მანქანის უკანა სვლით დაძვრისას უკან მდგომ გაჩერებულ ავტომობილს დაეჯახა, რის შემდეგაც შემთხვევის ადგილის დატოვებას შეეცადა. ეს შემთხვევა შეუმჩნეველი დარჩებოდა, რომ არა მძღოლის ასაკი. ავარიაში დამნაშავე მძღოლი 100 წლის აღმოჩნდა. მისი განცხადებით, მან მანქანით მოძრაობა იმიტომ გააგრძელა, რომ შეჯახება ვერ შენიშნა.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


17 მაისისთვის

**ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი**

აშშ დოლარი — 2.4344

ევრო — 2.9016

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.2962

100 რუსული რუბლი — 3.9292

**ამინდის პროგნოზი 17 მაისისთვის**








## 15 მაისიდან

**სერია ნამდვილი დეტექტივი**

დეშილ ჰემეთი

## მალტის შევარდენი

მალტელ რაინდთა ორდენის მიერ ესპანეთის იმპერატორისთვის ნაჩუქარი უძვირფასესი განძი, ბრილიანტებით მოოჭვილი „შავი შევარდენი", უამრავ პატრონს გამოიცვლის, მე-20 საუკუნის ამერიკაში აღმოჩნდება და თავის გზაზე სისხლიან ნაკვალევს დატოვებს.

ბოლომდე არავის სჯერა მისი არსებობის, მაგრამ ადამიანები მაინც დაუნდობლად ხოცავენ ერთმანეთს ამ ზღაპრული ნივთის ხელში ჩასაგდებად...

**ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი**

## 18 მაისიდან

ვიქტორ სუვოროვი

## აკვარიუმი




ეს წიგნი რუსული გრუ-ს საიდუმლო საქმიანობის შესახებ მოგვითხრობს

**ფასი გაზეთთან ერთად 9 ლარი**


## ზიდანი შესაძლოა საფრანგეთის ნაკრების მწვრთნელი გახდეს



ესპანურ პრესაში ვრცელდება ინფორმაცია რომ ზინედინ ზიდანმა მომავალ სეზონში შესაძლოა მადრიდის რეალი დატოვოს და საფრანგეთის ნაკრებში გადაინაცვლოს, სადაც მას უკვე დიდი ხანია ელიან.

თვითონ ზიდანს ამის შესახებ არაფერი უთქვამს, მაგრამ ერთ-ერთ ინტერვიუში ზიდანმა განაცხადა, რომ მომავალში საფრანგეთში დაბრუნებას არ გამორიცხავს, მაგრამ ჯერჯერობით ეს არ მოხდება.

ზიდანმა რეალი 2016 წელს ჩაიბარა და ზედიზედ ორჯერ შეძლო ჩემპიონთა ლიგის მოგება. წელს მას შეუძლია ლიგის გამარჯვებული მესამედ გახდეს, თუ რეალი ფინალში ლივერპულს დაამარცხებს.

## ბარსელონა სევილიას მცველს ყიდულობს



ბარსელონა სევილიას ფრანგი მცველის კლემან ლენგლეს ყიდვას აპირებს და მზად არის ამ ტრანსფერში 30 მილიონი ევრო გადაიხადოს. ლენგლე უკვე დათანხმდა ბარსელონაში თამაშზე, ახლა ჯერი გუნდებზეა, რომლებიც, სავარაუდოდ, ასევე შეთანხმდებიან.

ლენგლე 22 წლის არის და სევილიაში გადასვლამდე ნანსის ღირსებას იცავდა. სევილიაში ფრანგმა მცველმა სწრაფად დაიმკვიდრა ადგილი და გუნდის ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელი გახდა.

ბარსელონა ზაფხულში კიდევ რამდენიმე ფეხბურთელის ყიდვას აპირებს, მათ შორის კატალონიელების მთავარი სამიზნე ანტუან გრიზმანია.

## ბალოტელი კარიერას მარსელში გააგრძელებს



მარიო ბალოტელის მომავალი გუნდი, სავარაუდოდ, მარსელის ოლიმპიკი იქნება. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ბალოტელი უკვე მოელაპარაკა მარსელის ხელმძღვანელობას და ზაფხულში ტრანსფერი ოფიციალურად განხორციელდება. ბალოტელი ამჟამად ნიცას ღირსებას იცავს და ამ გუნდში ის საკმაოდ შედეგიანია, თუმცა ბალოტელის უფრო ძლიერ გუნდში სურს კარიერის გაგრძელება.

მარსელში საკმაოდ ძლიერი ფეხბურთელები არიან, ამიტომ ბალოტელის ძირითად შემადგენლობაში მოსახვედრად სერიოზული ბრძოლა მოუწევს.

*მოამზადა ბექა გოგინაშვილმა*



## იუმორი

ერთი რუსი მეორეს ეკითხება:

– შენი აზრით, ვინ იქნება ქვეყნის პრეზიდენტი პუტინის შემდეგ?

– ზუსტად ვერ გეტყვი, მაგრამ საბჭოთა კავშირში ასეთ შემთხვევაში გარდაცვლილის ადგილს დამკრძალავი კომისიის თავმჯდომარე იკავებდა.

●●●

ორი ნაცნობი საუბრობს. ერთი მეორეს ეკითხება:

– იმ ადამიანს მხოლოდ იმისთვის უყვირეთ, რომ ღამის პირველ საათზე დაგირეკათ?

– აბა რა უნდა მექნა?

– მის მდგომარეობაში უნდა შესულიყავით. გადაგერეკათ და ბოდიში უნდა მოგეხადათ, დილის ხუთ საათზე.

●●●

გოგონა ბიჭს ეკითხება:

– შენი კომპიუტერის სამუშაო მაგიდაზე რა სურათი გიდევს?

– სასქესო ორგანოების...

– გარყვნილო!

– ...მცენარის, ანუ ყვავილის.

●●●

სავანაში ორი ლომი საუბრობს. ერთი მეორეს ეუბნება:

– უკვე ყელში ამოვიდნენ ეს ახალი რუსები, წინ და უკან დაჰქრიან ჯიპებით, სვამენ, იგინებიან.

– ჰო, და მერე მათი მობილური ყოველ წუთს მუცელში რეკავს.

●●●

ცოლი ქმარს ეუბნება:

– პრეზერვატივით ღალატად ხომ არ ითვლება?

– რა თქმა უნდა და არც მაყუჩიანითაა მკვლელობა...

●●●

ფსიქიატრიულში ავადმყოფები ტელევიზორში საინფორმაციო გამოშვებას უყურებენ. ერთ-ერთი წამოიძახებს:

– კიდევ კარგი, ფსიქიატრიულში ვარ!

– ჰოო, ეს გამოჯანმრთელებულა, დროა გავწეროთ, – გადაულაპარაკა ერთმა ექიმმა მეორეს.

●●●

პატარა ბიჭი აფთიაქში კითხულობს:

– რაიმე საიმედო გამაყუჩებელი საშუალება გაქვთ?

– რა გტკივა? – ეკითხება გამყიდველი.

– ჯერ არაფერი, მაგრამ მამა მშობელთა კრებაზეა...

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*


# ბოაი

ჩინური მედიცინის ცენტრი და აფთიაქი

საუკეთესო ეფექტი მოკლე პერიოდში

-გულ-სისხლძარღვთა დაავადებები, კუჭ-ნაწლავის ტრაქტი, ღვიძლი, სასუნთქი სისტემა
-ნერვულისისტემა, ხერხემალი, სახსრები
-კანის დაავადებები
-უროლოგია
-გინეკოლოგია

მისამართი -ქ. თბილისი, დ.ყიფიანის ქ. 2
ტელეფონი - 2 47 91 12
10:00 – 19:00 სთ. შაბათ -კვირის ჩათვლით





## სერია ნამდვილი დეტექტივი

**22 მაისიდან** ნაიო მარში **კაცი იწვა მკვდარი**




დეტექტივი როდერიკ ალეინი ინგლისის ერთ-ერთ რესპექტაბელურ სახლში „მკვლელობანას" თამაშის დროს მომხდარ ნამდვილ მკვლელობას იძიებს. მსხვერპლი მონღოლური წარმოშობის რუსული სარიტუალო ხანჯლით არის მოკლული.

**ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი**

**29 მაისიდან**

ანდრეა კამილერი **წყლის ფორმა**




ზღვისპირა იტალიური ქალაქის უმდიდრესი ადამიანი და არაფორმალური მმართველი პიკანტურ ვითარებაში იღუპება. ყველა დაინტერესებულია ამ საქმით, რომის პაპიდან დაწყებული, პროვინციელი მოსამართლით დასრულებული.

**ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი**

**5 ივნისიდან**

გილბერტ ჩესტერტონი

**მამა ბრაუნის სკანდალური ამბავი**




მამა ბრაუნი ჩია, პროვინციელი კათოლიკე მღვდელია, არც რამე სისტემა გააჩნია ჩახლართული დანაშაულების გასახსნელად. ბოროტმოქმედების მხილება მისი ჰობია, რაც ძალიან კარგად გამოსდის.

**ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი**

**12 ივნისიდან**

როს მაკდონალდი **შიში**




ოთხმაგი მკვლელობა. ოთხი გარდაცვლილი. პირველ მსხვერპლს დანარჩენებისგან წლები აშორებს, მაგრამ მკვლელობა ერთი პიროვნების ხელით ხდება. მკვლელის ვინაობას, რამდენიც უნდა ეცადოთ, ვერ გამოთვლით, მხოლოდ ბოლო გვერდზე ამოიკითხავთ და გაოცდებით.

**ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი**


## ბუფონი სეზონის ბოლოს კარიერას დაასრულებს



იუვენტუსის ლეგენდარულმა მეკარემ ჯანლუიჯი ბუფონმა გადაწყვეტილება მიიღო და სეზონის ბოლოს ის საფეხბურთო კარიერას დაასრულებს.

ეს ინფორმაცია თვითონ ბუფონმა ოფიციალურად დაადასტურა:

– წლები მემატება და დროა, რომ ასპარეზი ახალგაზრდებს დავუთმო. ფეხბურთმა ჩემს ცხოვრებაში უდიდესი როლი ითამაშა.

ბუფონი უკვე 40 წლის არის და ბოლო რამდენიმე სეზონი ის არცთუ სტაბილურად თამაშობდა, თუმცა ის მაინც იუვენტუსის პირველი მეკარე იყო.

ბუფონმა კარიერა პარმაში დაიწყო, იუვენტუსში კი 2001 წელს გადავიდა.

## კროსვორდი ა



**შვეულად:** 1. ქართველი მეცნიერი, გეოდეზიის ფუძემდებელი საქართველოში; 2. ქუჩის ტელეფონ-ავტომატი; 3. რაიონული ცენტრი კახეთში; 4. ასანთის ძველი ქართული სახელწოდება; 5. სამხედრო-საზღვაო პოლიგონი საქართველოში; 9. საკურორტო ცენტრი ფლორიდაში; 11. პაბლო პიკასოს ანტიფაშისტური ფერწერული ტილო; 12. იუნესკოს კულტურული მემკვიდრეობის ნუსხაში შეტანილი სვანური სოფელი; 14. წელის ტკივილი; 18. საბერძნეთის მეორე სახელწოდება; 19. პროფესიონალი მოცეკვავე, გამრთობი ქალი იაპონიის საჩაიეებში.

**თარაზულად:** 4. თბილისის ერთ-ერთი რაიონი; 5. ქართველ მამაკაცთა ძველებური თავსაბურველი; 6. მწყემსი სამხრეთ ამერიკაში; 7. მეხსიერების დაკარგვა; 8. შოკოლადით დაფარული ნაყინი; 10. ხშირი წიწვოვანი ტყიანი ზონა ევროპაში, აზიასა და ჩრდილო ამერიკაში; 13. საქართველოში გავრცელებული, წითელ წიგნში შეტანილი, ძალზე მაგარმერქნიანი ფოთლოვანი ხე; 15. მეცნიერების ერთ-ერთი დარგი; 16. ცხენის და ვირის ნაჯვარი; 17. ეგრისის მთავარი მეექვსე საუკუნეში; 20. სამშენებლო და მოსაპირკეთებელი მასალების მწარმოებელი ქართული ფირმა; 21. შხამიანი გველი; 22. ბრიტანული ნამცხვარი; 23. ფულის ერთეული ისრაელში.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*